# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 17 იანვარი, 2013 წელი.

№9 (7136)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## როგორც ჩანს, სანამ ეს კაცი, ასე თუ ისე, კიდევ ბოგინებს, საქართველოში მშვიდობა არ იქნება!!!



3

## რას აკეთებდნენ დაკავების ოპერაციისას მაღალჩინოსანი ნაცმოძღლები?

6

მუხროვანის ე.წ. „ამბოხის“ საქმის დეტალები კობა ოთანაძისგან

4

## კაცები გადამალეთ, „ცნობადი სახეები“ მოდიან!

## დეპუტატებს ბიუროს სხდომათა დარბაზი დროებით არა აქვთ

7



## „გადატვირთვა“ ამერიკულად

5



## ეროვნული ბანკი შეგნებულად არაფერს აკეთებს კომერციულების მოსათოკად

7

## კვიკვინია არაოლიმპიელებში საუკეთესოა

10

## ამოუცნობი სამყარო ახალ-ახალი აღმოჩენებით...

9



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№9. ხუთშაბათი, 17 იანვარი, 2013 წელი.

# ევროკავშირი და საქართველო ახალ პროგრამას იწყებენ

**ევროკავშირი და საქართველოს მთავრობა იწყებენ ახალ პროგრამას — „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“. პროგრამის პრეზენტაცია გეშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გაიმართა.**

პროგრამის მიზანია კანონის უზენაესობის განმტკიცება და ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერება. პროექტი ასევე მიზნად ისახავს, დაეხმაროს საქართველოს მთავრობას 5 ძირითადი ამოცანის შესრულებაში. კერძოდ, ესენია — სისხლის სამართლის პოლიტიკისა და პრაქტიკის რეფორმირება ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის გაგრძელება გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის თანახმად; პატიმართა უფლებების დაცვა ციხეების გადატვირთულობისა და ჯანდაცვის საკითხების მიმართულებით; პრობაციონერთა სარეაბილიტაციო პროექტების შემუშავება; ალტერნატიული სასჯელების მხარდაჭერა და კვალიფიციური იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის ზრდა.

პროექტი, რომლის მთლიანი ბიუჯეტი 2 მილიონი ევროა, 30 თვის განმავლობაში გაგრძელდება. მას განახორციელებს ავსტრიული საკონსულტაციო კომპანია „ჰიუმან დაინამიქსი“.

პრეზენტაციას ევროკავშირის დელეგაციის მისიის ხელმძღვანელის მოადგილე ბორის იაროჩევიჩიც ესწრებოდა. მისი თქმით, საქართველო ევროკავშირის პარტნიორი ქვეყანაა, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები კი უმნიშვნელოვანესი პრინციპია ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში, როგორც ეროვნული და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების ძირითადი საფუძველი.

გარდა ამისა, ღონისძიებას ესწრებოდნენ იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი.

როგორც წულუკიანმა განაცხადა, ამ პროექტის ფარგლებში საქართველოს ეხმარება ევროკავშირი იმისთვის, რომ სამართლიანი სისხლის სამართლის სისტემა ჩამოყალიბდეს, რათა კანონები იყოს სამართლიანი და, რაც ყველაზე მთავარია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება იყოს გამართული, ლიბერალური და ჰუმანური.

## ალიან-ჩალიანი

### აჭარის კუდ-ის ყოფილი უფროსი თემურ პატარიძე დაკავებულია

**სამართალდამცველებმა აჭარის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი თემურ პატარიძე დააკავეს. პატარიძის ადვოკატის, თემურ მესხის ინფორმაციით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი მოწმის სტატუსით მეორედ დაიკითხა, რის შემდეგაც დააკავეს.**

**პატარიძეს გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებს.**

**ადვოკატი პატარიძის დაკავებას უსამართლოს უწოდებს და აღნიშნავს, რომ მის ჩვენებებში დანაშაულის ნიშნები არ იკვეთებოდა.**

**თემურ პატარიძის დაკავებაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადება ჯერ არ გაუკეთებია.**

**ამასთან, 2012 წლის 28 სექტემბერს Youtube-ით გავრცელდა ვიდეო სათაურით „სააკაშვილი ვატო ყიფიანის მკვლელობას უკვეთავს“. ვიდეოს ახლდა ვრცელი ტექსტიც, რომლის ავტორი საზოგადოებას ხელისუფლების წარმომადგენელთა შესახებ სხვა სენსაციური მასალების გამოქვეყნებასაც ჰპირდებოდა.**

**ვიდეოში აჭარის კუდ-ის მაშინდელი უფროსი თემურ პატარიძე ფიგურირებდა.**

**28 სექტემბერსვე შსს-მ გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვით, თემურ პატარიძის ძმა ოთარ პატარიძე მოსკოვში მართლაც ჰყავდათ გატაცებული ფულის გამოძალვის მიზნით, რაზეც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში 2010 წელს გამოძიება დაიწყო.**

**— იქიდან გამომდინარე, რომ ქართულ სპეცსამსახურებს არ ჰქონდათ საშუალება ჩართულიყვნენ ამ საქმეში და გაეთავისუფლებინათ გატაცებული, ხოლო ოთარ პატარიძის სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრებოდა, გატაცებულის ოჯახის მოთხოვნით გადაწყდა, რომ მის ნათესავს, კერძოდ კი სიმამრს, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს, გამტაცებლების მიერ მოთხოვნილი თანხა გადაეხადა, რათა ოთარ პატარიძე გაეთავისუფლებინათ. გავრცელებულ კადრებში არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, გარდა სასტიკად ნაწამები ოთარ პატარიძის იძულებითი საუბრისა, რომლებიც მიუთითებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიმე სახით მონაწილეობას მკვლელობის დაკვეთაში, — აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.**

### უკანონო განაჩენების გადასინჯვაზე პარლამენტი კანონს თებერვალში მიიღებს

**თებერვალში პარლამენტი განიხილავს და მიიღებს კანონს, რომელიც შეეხება უკანონო განაჩენების გადასინჯვას, — ამის შესახებ საქართველოს მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა რადიო „პალიტრის“ გადაცემა „რეზიუმეში“ სტუმრობისას განაცხადა.**

**კბილაშვილის თქმით, როგორც პოლიტპატიმრებს, ასევე, სხვა მსჯავრდებულებს, ვინც მიიჩნევს, რომ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი უკანონოა, გასაჩივრების გზით, მისი გაუქმების შესაძლებლობა ექნება.**

**— გაუქმების წინ უნდა მოხდეს შესწავლა. შესწავლის პროცესში თავისთავად მივადგებით შესაძლო ბრალეულობის საკითხს. ყველა უკანონო განაჩენი არ ნიშნავს იმას, რომ ყველა შემთხვევაში დამნაშავე იყოს მოსამართლე ან პროკურორი, მაგრამ რიგ შემთხვევაში, ასეთებიც გვექნება. როცა ეს გამოვლინდება, ჩვენ შესაბამის გადაწყვეტილებებს მივიღებთ“, — განმარტა კბილაშვილმა.**

**ინტერპრესი**

## ღია წერილი

# რეკომენდაციას ვუწევთ კუსიანის კანდიდატურას!

**ბატონო გიგი**, მოგმართავთ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-თბილისის“ სახელით. გვინდა ვაღიაროთ , რომ თქვენ „ნაციონალური მოძრაობის“ ყველაზე პროგრესულად მოაზროვნე ლიდერი აღმოჩნდით. „აღფრთოვანებული“ ვართ თქვენი ბოლო სატელევიზიო გამოსვლითა და ახალი საკადრო პოლიტიკით. როგორც იქნა „ნაციონალური მოძრაობის“ თუნდაც ერთი წევრი (თქვენი სახით) მიხვდა, რომ ქვეყანას პროფესიონალები სჭირდება და არა „ჩვენი დროის ისეთი ახალი გმირები“, როგორიც დავით კირკიტაძეა, ან მართლმადიდებლობასთან და ქართულ ეკლესიასთან ტყვიით მებრძოლი „გმირი“ დათა ახალაია. სხვა „ნაციონალური მოძრაობის გმირებსაც“ რომ არ ეწყინოთ, მათ პიროვნულ ჩამოთვლას აღარ მოვყვებით, რადგან საკმაოდ ბევრნი არიან და ერთი წერილი მათ ვერ დაიტევს.

ჭეშმარიტებაა ისიც, რომ მაღალ თანამდებობებზე საკუთარი ხალხის ხელკეტებით გამეტებული დარბევისათვის „საუკეთესო ზონდერები“ არ უნდა ინიშნებოდნენ. იმაზეც სავსებით გეთანხმებით, რომ ჩვენს ქვეყანას აღარც ქვეყნის პირველ პირთა ახლო ნათესავების „გაძლების“ თავი აღარ აქვს. შიმშილის პირას მიყვანილი ხალხის ბოლო კაპიკებით შევსებულ ბიუჯეტსაც მაღალჩინოსანთა ცოლების ახლო მეგობრების დაწინაურება და შემდეგ მათი უცხო ქვეყნებში ვოიაჟების დაფინანსებაც აღარ შუძლია. ეგ კი არა და მათ სატელეფონო ხარჯებსაც ვეღარ აუდის, ბატონო გიგი.

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-თბილისი“ მიესალმება თქვენს ინიციატივას, ბოლოს და ბოლოს პრიორიტეტი მიანიჭოს გამოცდილებასა და წიგნიერებას საკადრო პოლიტიკაში. მით უმეტეს, პატივი სცეს პარლამენტარიზმსა და ამ ინსტიტუტში მიღებულ გამოცდილებას.

აქედან გამომდინარე, სავსებით გასაგებია როგორი გულმოდგინებით უმკლავდება ერთ ბოძზე ორნახევარი სანათის მონტაჟს ყოფილი პარლამენტარი კობა ხაბაზი შპს „სინათლის ქალაქის“ სამეთვალყურეო საბჭოში და რამდენად შრომატევადია „ნაციონალური მოძრაობის“ ახალი კლარა ცეტკინისათვის — ქალბატონი რუსუდან კერვალიშვილისათვის გენდერული საკითხების მოგვარება „სატრანსპორტო კომპანიაში“. ზოგიერთი მათგანი კი იმდენად გამოცდილიც აღმოჩნდა, რომ „მეთვალყურის“ ფუნქციას უკვე გუბერნატორის რანგშიც ითავსებს.

ბატონო გიგი, გამოცდილი პარლამენტარებისადმი თქვენი ესოდენი დაინტერესებიდან გამომდინარე, გვინდა, თბილისის მერიის „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში“ გათავისუფლებული სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ვაკანსიაზე ხათუნა ოჩიაურის ნაცვლად, ჩვენი გუნდის წევრის კანდიდატურა წარმოგიდგინოთ. ჩვენთვის გასაგებია, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ დასასაქმებელი ჯერ კიდევ ბევრი ჰყავს, თუმცაღა შეგახსენებთ, რომ კოჰაბიტაცია ორმხრივი პროცესია. იყავით პირველი და მაგალითი მიეცით თქვენივე გუნდს.

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-თბილისი“ რეკომენდაციას უწევს სამგზის პარლამენტის წევრის ბატონი რომან კუსიანის კანდიდატურას, რომელიც „თქვენი დროის გმირი“ ნაციონალი პარლამენტარებისაგან განსხვავებით მთელი ამ წლების განმავლობაში ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენისათვის იბრძოდა.

**პატივისცემით,**
**თბილისის საკრებულოს ფრაქცია**
**„ქართული ოცნება-თბილისი“.**

## ინტერნეტიდან

**პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში დაბრუნების იდეა ქუთაისის მკვლელობისა და ჩამკვდარ ქალაქად ქცევის გამოცხადებული ქრონიკააო, — დასძინა სააკაშვილმა.**

**„თუ პარლამენტი არ იქნება ქუთაისში, არ იქნება უამრავი ტურისტული ობიექტი და ათიათასობით სამუშაო ადგილი — ქუთაისის აეროპორტი ვერ განვითარდება, რომელიც გვსურდა, რომ არა მხოლოდ კავკასიის, არამედ ევროპის უდიდესი აეროპორტი ყოფილიყო. ისინი ამბობენ, „ჩვენ ვბრუნდებით სახლშიო“. საქართველოს მმართველების სახლი მხოლოდ თბილისის ერთი კვარტალი შეიძლება იყოს? თუ პარლამენტი არ იქნება ქუთაისში, ქუთაისი იქნება მკვდარი ქალაქი. მკვდარი ქუთაისი კი ნიშნავს ჩამკვდარ დასავლეთ საქართველოს. ცოცხალი ქუთაისი აცოცხლებს დასავლეთ საქართველოს. პარლამენტის ქუთაისიდან გადატანის იდეა ესაა ქუთაისის მკვლელობის და ჩამკვდარ ქალაქად ქცევის გამოცხადებული ქრონიკა“, — აღნიშნა სააკაშვილმა.**

**აი, რას წერს ინტერნეტში მოსახლეობა:**

„ძალიან პრიმიტიული მსჯელობა რომ არის, ბავშვიც კი უმალ მიხვდება. ქალაქს პარლამენტი კი არ აცოცხლებს, არამედ სამუშაო ადგილები... აეროპორტი თუ აშენდება, ყველა მიესალმება და ხელს რატომ შეუშლის პარლამენტის არაშენება, გაუგებარია“...

„აუცილებლად უნდა გადავიდეს თბილისში...“

„ვისაც სხვა აზრი გააჩნია, ყველა იდიოტია“...

„ხომ იცი ჯიგარ, იდიოტს სხვა ყველა იდიოტი რომ ჰგონია. ახლა უცებ ბორია ივანაშვილმა რომ თქვას, ჭორვილაში უნდა გადავიდესო, ხომ ატეხავთ სიხარულის გნიასს, პინგვინებო!!!“

„უწყინარი პინგვინი რომ იყოს მანიაკი და სადისტი სააკიანი მისი ხროვით, რაღა გიჭირდათ?“

„რა თქმა უნდა, უნდა დაბრუნდეს თბილისში, რადგანაც სხვა ყველა სტრუქტურა აქ არის და იხარჯება ძვირფასი დრო და სახსრები წინ და უკან სიარულში.“

„რა თქმა უნდა დარჩეს ქუთაისში...“

„თბილისში!!!“

„პარლამენტი ქუთაისში უდარდელი ადამიანების აკვიატებაა; მათ თბილისში არ ედგომებათ და თავშესაფარს ეძებენ. რა ენაღვლებათ ხარჯები, როცა ჩვენ სიღატაკეში ვცხოვრობთ! ქუთაისი



# „პარლამენტი ქუთაისს ვერ გამოაცოცხლებს...“

უნდა იყოს მსოფლიო დონის საუნივერსიტეტო ქალაქი!“

„ისედაც მოუწევს ადგილმდებარეობის შეცვლა. ხან მილები სკდება, ხან ჭერიდან რაღაცები ვარდება და ცოტა ხანში ისედაც ჩამოიშლება“....

„რა თქმა უნდა, უნდა, ქუთაისში დარჩეს, რადგან დასავლეთ საქართველოს გამოაცოცხლებს. თბილისიც განიტვირთება“.

„ჰოდა, ხომ გამოაცოცხლეს პარლამენტით ქუთაისი, ახლა ზუგდიდი, მიშასაც დაძინებულები ვეგონეთ, ვაი თქვენს პატრონს, ვისაც ჰგონია, რომ ქართველ ხალხს სძინავს და ან ოდესმე დააძინებს ვინმე...„

„რატო ქალბატონოო?“

„ისე ხო აკეთებენ საქმეს და ამდენი უსაქმური გინდა თბილისში ყოფილა და გინდა ქუთაისში...“

„ქუთაისისთვის აუცილებელია, რა ვერ გაიგეთ.

აუცილებლად უნდა დარჩეს ქუთაისში!“

„არაფერი ესაქმებათ ქუთაისში. წყნარი ქალაქია და ქაოსი არაა საჭირო. წავიდნენ თბილისში და საქმეს მიხედონ, თორემ სომხებმა „დაიპყრეს“ თბილისი“...

„საქართველოს მომავალი განვითარებისათვის და მთლიანობისათვის აუცილებელია, რომ პარლამენტი დარჩეს ქუთაისში! სამწუხაროა, რომ ზოგიერთს ამის ახსნა ჭირდება“.

„ქუთაისში რა უნდა პარლამენტს? საქართველოს დედაქალაქია თბილისი და პარლამენტიც აქ უნდა იყოს. ვახტანგ გორგასალმა ააშენა თბილისი და გადმოიტანა დედაქალაქი მცხეთიდან. იგივე მოიმოქმედა მოგვიანებით დავითმა, და ქუთაისიდან გადმოიტანა დედაქალაქი. ახლა, ვინც ქუთაისში პარლამენტის გადატანას ემხრობით, მე გეკითხებით: თქვენ რა ვახტანგზე და დავითზე დიდი ქართველები გგონიათ თავი?“

„გაიხედ-გამოიხედე: VI საუკუნის შემდეგ შეიცვალა დედამიწა. მაშინ არც პარლამენტი იყო, არც დემოკრატია და არც ეგალიტარიზმი. 21-ე საუკუნემ ორივე მოიტანა.“

„არა მგონია, პარლამენტმა გამოაცოცხლოს ქუთაისი... ძვირი ჯდება პარლამენტი ქუთაისში. მე ვგულისხმობ პარლამენტის წევრების დაბინავებასა და ა.შ. სადაც გინდა, იქ იყოს ეს პარლამენტი. ვინმეს თუ ჰგონია, რომელიმე ქალაქს რამე ეშველება, ძალიანაც შემცდარხართ. ქალაქი რო გამოცოცხლდეს, სხვა რაღაცებია საჭირო, და არა პარლამენტის ყოფნა-არყოფნა“.

**ნატა ნიბლაძე**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## კოჰაბიტაცია – ნაცურად

**მიმიხვდით ალბათ, მიშა სააკაშვილზე მოგახსენებთ, ვფიქრობ ურწმუნო თომებისთვისაც ცხადი გახდა, რომ სააკაშვილის სასწრაფო გადაყენება, ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, აუცილებლობაა და არა მხოლოდ შურისძიების ქვენა გრძნობის გამოვლინება.**

დიახ, „არა მხოლოდ“, რადგანაც იმ მილიონამდე ხელმომწერში, რომლებიც 20 იანვრის შემდეგ პრეზიდენტის გადადგომას ითხოვენ, შურისმაძიებლებიც ბევრნი არიან და ეს გაემტყუნება ნაცების 9-წლიანი კოშმარით განაწამები ქართველი საზოგადოების ნაწილს?

„რა გითხრათ, რით გაგახაროთო“? – კითხულობდა XIX საუკუნის მიწურულს დიდი ილია და ეს კითხვა სამწუხაროდ ამ ახალ წელსაც აქტუალურია, რადგან საფიქრალ-საზრუნავი უფრო მეტია, ვიდრე გულის დასაარხეინებელი და სანამ ამეებზე გადავალთ, ჩვენი გაზეთის სახელით მთელს საქართველოს ვულოცავ ახალ წელს!..

**1 ოქტომბრის შემდეგ საქართველო აღარ არის პოლიციური სახელმწიფო!!!**

უფრო სწორედ პოლიციური რეჟიმი ჯერ კიდევ 18 სექტემბერს, ციხის კადრების გასაჯაროვებისთანავე გადატყდა ხერხემალში და ნაცბანდის რეჟიმის დასასრული ოფიციალურად 1 ოქტომბერს გაფორმდა. მას შემდეგ, ხატოვნად თუ ვიტყვით, „თავისუფლად ვსუნთქავთ“, აღარ გვეშინია, რომ ან ჩვენ, ან ჩვენს გამო, ჩვენს ახლობლებს გლდანის საციხე-საცოცხოდ რაიმეს „გაგვიიმასქნებენ“ და განა ეს ცოტაა? – აი, ის ერთადერთი და უდავო, რაც მართლაც მისალოცია!..

**სხვაფრივ, როგორც დიდი რუსი მეიგავე კრილოვი იტყოდა – „А возы ныне там“ და აქ ნამდვილად არ ვგულისხმობ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირებების ე.წ. სოციალურ პაკეტს, რადგანაც, ჯერ ერთი, კარგად მესმის, რომ „სოფლის შენებას რა უნდა“, სიმღერაშია ადვილი და მეორეც, ოღონდაც ის ცოცხები აღარ განმეორდეს საქართველოში და პირადად მე, მზად ვარ სიცოცხლის ბოლომდე გავუძლო მატერიალურ გაჭირვებას!**

აქედან გამომდინარე კი ვერაფრით ეგუება ქართველი კაცი იმას, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი, რბილად თუ ვიტყვით, აშკარად შეფერხდა – წლების მანძილზე, ჩვენს მტანჯველთაგან ერთადერთი ვინც დააპატიმრეს, ეს ბაჩანა ახალაიაა და ისიც პრაქტიკულად საკუთარი ნებით ჩაბარდა, რადგანაც, როგორც „ბოროტი ენები ამბობენ“, ბაჩოს იქ, ციხეში ურჩევნია დაემალოს მავანთა მხრიდან სამართლიან შურისძიებას, ვიდრე საკუთარ სადარბაზოში შესვლისა ეშინოდეს!

სხვები კი, სხვადასხვა კალიბრის იდიოტები, მსუბუქად კი შეშფოთდნენ პროკურატურაში დაბარებებით, მაგრამ მათ მიმართ არაადეკვატურ ბრალდებებზე სასაცილო გირაოების გადახდის შემდეგ, ისევ აგრძელებენ საზოგადოებისთვის შეურაცხმყოფელ, გამომწვევ „ბლატაობას“...

სად არის ჟვანიას მკვლელობის საქმე, რომელიც პირობისამებრ, ახალწლამდე უნდა „დაედოთ“, ან გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის და ა.შ. სხვათა და სხვათა გახმაურებული საქმეები? განსაკუთრებით ამ უკანასკნელის საქმე იწვევს აღშფოთებას, რადგანაც ამ მკვლელობის ერთი მთავარი გამყალბებელი, მაშინდელი პატრულის შეფი, გირაოს სანაცვლოდ დაუძვრა მართლმსაჯულებას, ხოლო მეორემ, გურამ დონაძემ ევროპაში გაასწრო „სასწავლებლად“ და იქიდან დაგვცინის!

ან კიდევ, რა გახდა ივანე მერაბიშვილისთვის სერიოზული ბრალის წაყენება? ყალბი პასპორტის მეტი დანაშაული არა აქვს ლევან მაისურაძეს? განა 7 ნოემბრის ვანდალიზმი, ან 26 მაისის სასაკლაო ხელისგულზე არ დევს, რომლის დროსაც მერაბიშვილი შსს მინისტრი იყო და რასაც გამოძიება კი არა, სასამართლოში გოგა ხაინდრავას ფილმის „დემოკ-

**როგორც ჩანს, სანამ ეს კაცი, ასე თუ ისე, კიდევ ბოგინებს, საქართველოში მშვიდობა არ იქნება!!!**

რატიის შუქურის“ წარდგენა უნდა იმბეცილ-ვანოს დანაშაულის მტკიცებულებად?

რამდენი ასეთი „ან კიდევ“ შეიძლება გავიხსენოთ? და სწორედ ეს მქონდა მხედველობაში, როდესაც დიდი რუსი მეიგავე დავიმოწმე – შინ თუ გარეთ ბლომად არიან საქართველოს „მეგობარი“



„ლებედ, რაკ და შჩუკები“. სწორედ მათი, გარეშე „კეთილისმსურველ“ ამერიკელ სენატორთა იმ 5-კაციანი ჯგუფის „შემოგდებულია“ ე.წ. კოჰაბიტაცია, რომლის მთავარი „შჩუკა“ (თუ „სუკა“?) ვიეტნამში „ნახმარი“ ჯონ მაკკეინია და ყველას ერთად (შინაურ-გარეულების) დამსახურებაა, რომ „ქართულ ოცნებაში“ სავარაუდოდ აღარ არის პოლიტიკური ნება ნაცბანდის ბობოლათა დასჯისა. ან იმდენად დასუსტდა ეს ნება, რომ ქართველი ხალხის მწამებლებმა, ჩვენი სულიერების ოკუპანტებმა, ჯერჯერობით უსაფრთხოდ დაიგულეს თავები. იქამდეც კი, რომ ჩვენმა „ტანადმა“ ქალაქის მერმა, იმის მაგივრად, რომ „ვირის აბანოს“ ხეხავდეს, პარლამენტს მიღმა დარჩენილი ათეულობით ისეთი ოდიოზი ნაც-იმბეცილები დაასაქმა, რომ პირსაქმე გემართება მათი გვარების ჩამოთვლისას!

ამას ბედავს იმ პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიგი უგულავა, რომელმა პარტიამაც თბილისის ათივე (!!!) რაიონში პირწმინდად წააგო საპარლამენტო არჩევნები და რომელ კოჰაბიტაციაზე გვესაუბრებიან დასავლელი „მეგობრები“ – განა ეს ის შემთხვევა არ არის, რომ ნებისმიერ დასავლურ ქვეყანაში დედაქალაქის მერი კი არა, სოფლის უბრალო გამგებელიც კი, უპირობოდ გადადგებოდა?

ასეთივე და კიდევ უარესი მდგომარეობაა რეგიონებში. სადაც იმით აღშფოთებული ხალხი, რომ საკრებულო-გამგეობებში ისევ ძველი, ხშირ შემთხვევაში სასტიკ დანაშაულობებში მხილებული ნაცბანდის კადრები „ჯეჯილობენ“, დღე არ გავა, რომ ვილაცას კარები არ აუჭედონ, ან პიკეტირება არ მოუწყონ...

და აი მივადექით წერილის მთავარ თემას – პრეზიდენტმა სააკაშვილმა, არ ისმინა თქვენი მონა-მორჩილის წინასაახალწლო შეგონება, ახალი წლის მილოცვაც გაგვიბედა და ამის გარდა კიდევ ერთი შეურაცხყოფაც მოგვაყენა აბსურდული 5-პუნქტიანი კოჰაბიტაციის გეგმის სახით. აბსურდული, რადგანაც, როგორც ხშირად სჩვევია, შერიგების გეგმას სრულიად გამომრიცხავი რამეები მოაყოლა – თენგიზ გუნავა სამეგრელო-ზემო სვანეთის, ხოლო ანდრო ბარნოვი და ხათუნა ოჩიაური, შესაბამისად შიდა ქართლისა და მცხეთა-თიანეთის გუბერნატორებად დანიშნა. ეგეც არ იკმარა ამ მართლა იმბეცილმა (იდიოტმა) და, როგორც ამბობენ, (ოფიციალურად ჯერ არ დასტურდება ) „სამეფო ტახტის“ ზუგდიდის რეზიდენციაში გადატანას და საპრეზიდენტო მმართველობის განხორციელებას სამეგრელოდან აპირებს!?

რას უნდა ნიშნავდეს ეს? ზოგიერთმა კომენტატორმა – თბილისი ეზიზღება და 20 იანვრიდან, როდესაც სავარაუდოდ დედაქალაქში უნდა დაიწყოს ფართომასშტაბიანი აქციები პრეზიდენტის გადაყენების მოთხოვნით, ამ პროცესებს უნდა გაერიდოს ზუგდიდშიო!?

ნეტავ მართლა ასე უბრალოდ იყოს საქმე და არა იმის რეალური საფრთხე გემუქრებოდეს, როგორც ამას წინათ ჩვეული ენამოსწრებულობით შენიშნა ბატონმა რეზო ამაშუკელმა:

**„ეს იმხელა სირია, აქ მოგვიწყობს სირიას“...**

სამეგრელო ერთობ სპეციფიკური რეგიონია და უფრო მეტიც, ეს უმშვენიერესი კუთხე იყო და არის ისტორიულად საქართველოს ხერხემალი და არა თუნდაც „დიდი“ ივანე მერაბიშვილი!

ისიც ფაქტია, ოღონდაც ამჯერად სამწუხარო, რომ ნაცბანდამ თუ სადმე ალალად მიიღო ხმები 1 ოქტომბერს, ეს სამეგრელოა. აქედან გამომდინარე სრულიად ბუნებრივად მოჩანს მიშას იმედი, რომ სამეგრელოში შედარებით დაცული იქნება.

გასული დროის მანძილზე „ქართული ოცნების“ რეიტინგი ისედაც ეცემა, რადგან ეს ყველა არჩევნების შემდგომი ობიექტური თანამდევი პროცესია. ხოლო სააკაშვილის მიერ მითვისებული ვადის ამოწურვამდე, მეოცნებეთა რეიტინგი კიდევ უფრო დაიწევს სწორედ იმიტომ, რომ „შეგნებულების“ რიცხვი, რომლებისთვისაც უმთავრესი, პოლიციური რეჟიმის გაქრობა იყო და იქნება, სულ უფრო შემცირდება. ანუ, რაც დრო გავა, კუჭის ფილოსოფია სულ უფრო მეტად სძლევს მაღალ იდეალებს!

ოცნების რეიტინგის ობიექტური ვარდნა, არ ნიშნავს ნაცების რეიტინგის ზრდას და არც მომავალშია საფრთხე ამისა – ნაცებს მართლაც არავითარ „რასკლადში“ არ ემუქრებათ პოლიტიკური რეანიმაცია!

ჰოდა, სააკაშვილის მიერ მეგრული კარტის გათამაშების მცდელობა, შეიძლება ამ „უსამართლობის“ აღმოფხვრასაც ისახავდეს მიზნად – თუ რა სიკეთე მოუტანა საქართველოს გასული საუკუნის 90-იანებში მსგავსმა „პასიანსმა“, ყველას კარგად გვახსოვს!..

მით უმეტეს ახლა გვმართებს გონიერება, რადგანაც იმდენად არაპროგნოზირებად პიროვნებასთან გვაქვს საქმე, რომ არ არის გამორიცხული, ხელისუფლებაში დარჩენის მანიაკალურმა სურვილმა, იქნებ საქართველოს ორად გაყოფის გეგმებიც დაალაგოს მიშა სააკაშვილის ავადმყოფურ წარმოდგენებში! ნურც ის დაგვავიწყდება, რომ სამეგრელო უშუალოდ ესაზღვრება აფხაზეთს. ანუ, ამ მიმართულებითაც არ არის გამორიცხული პროვოკაციების მცდელობები შეურაცხადი სააკაშვილის მხრიდან!..

ერთი სიტყვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავადმყოფი პრეზიდენტის სასწრაფოდ გადაყენება, არა უბრალოდ სამართლიანი, არამედ ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე აუცილებლობაა!

ამიტომაც იქნებ გადახედოს ბიძინა ივანიშვილმა საკუთარ განცხადებას – ამერიკელებს არ უნდათ და უარს ვამბობ პარლამენტში პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებაზეო და თუ ხელს არ შეუწყობს, ნუ შეუშლის მაინც ქართველი ხალხის ნების ქუჩიდან აღსრულებას, რაც არა მხოლოდ მიშას გადაყენებას, არამედ ნაციონალური მოძრაობის, როგორც დამნაშავე ორგანიზაციის გასამართლება-აკრძალვასაც გულისხმობს, თავის „თავისუფლების ინსტიტუტთან“ ერთად!

ზემოთ რეგიონებში გამგეობების პიკეტირება ვახსენე და მინდა ამ მიმართებით შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც გავიხსენო – „ისინი ვინც გამგეობების ბლოკირებას ახდენენ, უმკაცრესად დაისჯებიანო!“

მინდა მჯეროდეს, რომ მინისტრმა ეს განცხადება, განცხადებისთვის, ანუ საგარეო მოხმარებისთვის გააკეთა და შესაბამისი ქმედებები არ მოჰყვება. ღმერთმა ნუ ქნას ვცდებოდე, თორემ თუ ახალ მინისტრს „დუბინკისკენ“ წასცდა ხელი, მით უმეტეს თუ ვინმე სამართლიანად აღშფოთებული პროტესტანტი დაატუსაღეს, მაშინ ის ერთადერთი საფუძველიც გამოეცლებათ მეოცნებეებს, რის გამოც ამდენ შეგნებულ თუ შეუგნებელ „გაუგებრობებს“ გაგებით ეკიდება ნაცების 9-წლიანი დიქტატურით გაწამებული მოსახლეობა!

ყველა ყველა და პოლიციური რეჟიმის რეანიმაციის უმცირეს სიმპტომებსაც კი, ცოცხების საკონცენტრაციო ბანაკებგამოვლილი ქართველი კაცი, არავის აპატიებს!

**დავით მხეიძე**

**P.S. ...„თავს რად იმურტლავ, ბიძინავ, გაუმაძღარის ღორითა? გული როგორ არ გერევა მიშასთან ჯდომა-ყოფნითა?!“**

**წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც საპატრიარქოში გამართული კოჰაბიტაციის გულისამრევი კადრები ვიხილე და ეს რბილად არის ნათქვამი, რადგანაც კაცი ვერ ვნახე ჩემს ახლო-მახლო, ვინც ბატონი ბიძინას და ქართველი ხალხის სისხლით თუ ცრემლით მართლაც გაუმაძღარი პრეზიდენტის კურკურს მოიწონებდა. სწორედ ამ საყოველთაო აღშფოთების გამოსახატავად წავუმძღვარე წერილის „პოსტსკრიმტუმს“, გენიალური ვაჟას სტრიქონები მცირედი პერიფრაზით.**

**ვისი და რისი სიყვარულის წლად გამოაცხადა 2013 ბიძინა ივანიშვილმა? იმ პირსისხლიანი მიშას და მისი ნაცბანდის, რომელთაც 200-მდე პოლიტპატიმარი ჰყავდა? აღარაფერს ვიტყვი ათიათასობით „უბრალო“ პატიმარზე...**

**თუ იმათი სიყვარულის, ვინც ცოცხებით გვაუპატიურებდა, ქუჩებში გვხვრეტდა, ეკლესიებს გვინგრევდა, სარწმუნოებას გვიგინებდა, ეროვნულ მენტალიტეტში გვაფურთხებდა?**

**იქნება ისინი უნდა გვიყვარდეს, ვინაც საქართველოს ტერიტორიების 20% სამოდამოდ თუ არა, დიდი, ძალიან დიდი ხნით დაგვაკარგინეს და ა.შ. რომელი ერთი ჩამოვთვალო?**

**საამისო მანდატი არავისთვის მიუცია ქართველ ხალხს...**

**დ.მ.**

## ინფორმაცია

# პოლიტდევნილის სტატუსის მქონე 9 პირზე საერთაშორისო ძებნა შეწყდა

**მთავარმა პროკურატურამ პოლიტდევნილთა სტატუსის მქონე 25 პირიდან 9-ზე ინტერპოლით გამოცხადებული საერთაშორისო ძებნა შეწყვიტა. ამის შესახებ მთავარი პროკურატურის პრესსამსახურის უფროსმა ხათუნა პაიჭაძემ განაცხადა.**

**აღნიშნულის მიუხედავად, ხათუნა პაიჭაძის განმარტებით, მთავარი პროკურატურა პოლიტდევნილის სტატუსის მქონე პირებს მოუწოდებს, დსთ-ის ქვეყნების გავლით სამშობლოში დაბრუნებისგან ერთი კვირის განმავლობაში თავი შეიკავონ, რადგან ამ ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებში სხვა ტიპის ხელშეკრულებები მოქმედებს და საჭირო პროცედურების გავლას დრო სჭირდება.**

**– 9 პირზე უკვე შეწყდა წითელი ცირკულარით ძებნა, მაგრამ დსთ-ის ქვეყნებთან გვაქვს სხვა ტიპის ხელშეკრულებები და მათ ჯერ კიდევ არ მოუხსნიათ ამ პირებზე გამოცხადებული ძებნა. შესაბამისად, მოვუწოდებთ პოლიტდევნილებს, რომ დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში თავი შეიკავონ საქართველოში დსთ-ის ქვეყნების გავლით დაბრუნებისგან, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დააკავებენ. მსგავსი ერთი-ორი შემთხვევა დაფიქსირდა კიდეც“, – აღნიშნა პაიჭაძემ.**

**მისივე განმარტებით, დსთ-ის წევრ სახელმწიფოებთან შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროცედურების გავლა მაქსიმუმ ერთ კვირაში დასრულდება. ამ დროისთვის საერთაშორისო ძებნა შეწყვეტილია შემდეგ პირებზე - მიხეილ ქარელი, ბიძინა გიორგობიანი, ჯემალ ქარქუსოვი, გიორგი ქადაგიშვილი, ლევან ფხაკაძე, გურამ გოგუა, მელიქ რაისიანი, ილია რამიშვილი და იასონ ჩიხლაძე.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ვითარება

# რას გვიმალავდა წინა ხელისუფლება?

## 2-3 თვეში გენმოდიფიცირებულ პროდუქციას გამოააშკარავებენ

**დაახლოებით 2-3 თვეში გაირკვევა, ქართულ ბაზარზე რა პროცენტული წილი უჭირავს გენმოდიფიცირებულ პროდუქციას. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ადგილობრივი სამომხმარებლო ბაზრის 2/3 მაინც გმო პროდუქტია. ამ ეტაპზე ამის დადგენა შეუძლებელია, მაგრამ გაზაფხულზე პარლამენტი კანონპროექტს დაამტკიცებს, რომელიც გენმოდიფიცირებული პროდუქციის რეგულაციას და მარკირებას დააკანონებს. სწორედ მაშინ გაირკვევა წლების განმავლობაში რითი იკვებებოდა ქვეყნის მოსახლეობა.**

გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ კანონპროექტი უკვე მზად არის. იგი 25-გვერდიანია და ჰარმონიზაციაშია საერთაშორისო კანონმდებლობასთან. მათივე თქმით, მასზე მუშაობა უახლოეს მომავალში დასრულდება და შემდეგ დოკუმენტს არასამთავრობოებთან განიხილავენ.

გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ კანონპროექტის განხილვას პარლამენტი საგაზაფხულო სესიაზე დაიწყებს. კანონი გმო პროდუქციის რეგულაციას ახდენს, რაც მარკირებას, ხოლო რიგ შემთხვევებში პროდუქციის აკრძალვას გულისხმობს.

მწვანეთა პარტიის ლიდერის გია გაჩეჩილაძის განცხადებით, ხელისუფლება ევროკავშირისა და აშშ-ის ბაზრების გახსნაზე აქტიურად მუშაობს. სწორედ ამიტომ მიმდინარეობს ყველა იმ დირექტივის შესრულებაზე მუშაობა, რომელიც ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას, პროდუქციულ ფიტოსანიტარიულ კონტროლს და შრომის კოდექსს უკავშირდება.



**„ჯამში ეს არის 800-მილიონიანი ბაზარი, ამიტომ იქ შესვლა სასიცოცხლოდ აუცილებელია. ჩვენ შევასრულებთ ყველა იმ ძირითად მოთხოვნებს, რომელთაც ევროკავშირი და აშშ გვიყენებენ“,** — განაცხადა მან.

გაჩეჩილაძის თქმით, ქართული პროდუქციის საერთაშორისო ბაზრებზე გასვლას ხელს ასევე ხელოვნურად შექმნილი იმპორტი უშლიდა, რაც ფულად ინტერესებთან იყო დაკავშირებული.

მწვანეთა პარტია რამდენიმე კანონპროექტზე მუშაობს, კერძოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად მუშავდება კანონპროექტი ბიომეურნეობების შესახებ, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას ითვალისწინებას, ასევე, უკვე მზადაა კანონპროექტი გენმოდიფიცირებული პროდუქციის შესახებ.

**„გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების შესახებ“ კანონპროექტი გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ არის შემუშავებული. მასზე მუშაობა, ფაქტობრივად, დასრულებულია და მისი განხილვა პარლამენტში თებერვლიდან დაიწყება.**

**„გვინდა, საქართველო გამოვაცხადოთ გენმოდიფიცირებული პროდუქციისგან თავისუფალ ქვეყნად. მივაღწიეთ იმას, რომ ბაზარზე გასაყიდი პროდუქტების მარკირება მოხდეს, რაც, აგრეთვე, ადგილობრივი კულტურული ჯიშების შენარჩუნებასა და ბიომეურნეობების განვითარებას შეუწყობს ხელს“,** — აღნიშნა გაჩეჩილაძემ.

ექსპერტი გიორგი მაღრაძე განმარტავს, რომ გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ კანონპროექტის მიღება მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ქართული სოფლის მეურნეობის ენდემური ჯიშების გადასარჩენად აუცილებელია.

**„ამ პროგრესული გადაწყვეტილების შედეგს ქვეყანა ძალიან მალე მიიღებს. მთავარია, რომ ახლა კანონპროექტით მოხდეს პროდუქტის ნიშანდება. ამასთან დაკავშირებით მსჯელობა მომავალშიც გაგრძელდება. მთლიანობაში კი, ასეთი კანონმდებლობა ხელს შეუწყობს სურსათის კონტროლს. ამ მიმართულებით საქართველოში ბევრი პრობლემაა, რისი გადაწყვეტაც აქამდე ვერ ხერხდებოდა“,** — აცხადებს მაღრაძე.

გიორგი ბექაური

ახალი სკანდალი

# კაცები გადამალეთ, „ცნობადი სახეები“ მოდიან!

პროკურატურამ კიდევ ერთი სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა.

ინფორმაცია, რომელიც არც კორუფციას, არც არჩევნების გაყალბებას და არც სამშობლოს ღალატს არ ეხებოდა.

ამ ინფორმაციით, ოფიციალური ტექსტით რომ ვთქვა, **„სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელ ცნობილ მამაკაცებთან სექსუალურ ურთიერთობას ამყარებენ კონსპირაციულ ბინაში სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის მეგის ქარდავას დავალებით გადაბირებული პირები“,** ანუ ჩვეულებრივად რომ განვმარტო, გაუკუღმართებული აზროვნების არაცნობადი პირები კონტაქტში შედიოდნენ ასევე გაუკუღმართებული აზროვნების ცნობად სახეებთან და ამ „კონტაქტს“ კურირებას მეგის ქარდავა უწევდა (აქ მაინც შევიკავე თავი და პირდაპირ არ დავწერე, რომ მეგის ქარდავა უბრალო პედერასტების მეშვეობით ცნობილ პედერასტებს აშანტაჟებდა).

გავრცელდა „ცუდი ხარისხით“ ნაჩვენები მასალა და ატყდა ერთი რუზრუზი და რიარია.

ატყდა და გამოხტნენ სხვადასხვა ჯურის „უფლებადამცველები“.

ის ე.წ. „უფლებადამცველები“, რომლებიც ხან პრესის ეთიკისკენ მოგვიწოდებენ და ხან ამ გარყვნილი აზროვნების „სიყვარულს“ და მათთან კოჰაბიტაციას გვიკიჟინებენ.

გამოხტნენ და ბუნებრივია შეშფოთება სტანდარტული განცხადებების სახით გამოხატეს.

**„ასოციაცია ლგბტ საქართველო (ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ და ტრანსგენდერულ) შეშფოთებას გამოთქვამს აღნიშნული კადრების გადაღების და შემდგომში გავრცელებასთან დაკავშირებით და მოვუწოდებთ საქართველოს პრეზიდენტს, როგორც საქართველოს კონსტიტუციის გარანტს, რეაგირება მოახდინოს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით და გამოიყენოს მის ხელთ არსებული ბერკეტები მსგავსი ტიპის კანონდარღვევისგან ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქის დასაცავად.**

**მიგვაჩნია რომ ჩვენს ქვეყანაში, ნებისმიერი ადამიანის პირადი და ინტიმური ცხოვრების დეტალები დაცული უნდა იყოს ყოველგვარი წნეხისა და ზეგავლენისგან, როგორც ეს არის გაწერილი ქვეყნის უზენაეს კანონში. მოვუწოდებთ პროკურატურას და სხვა სახელმწიფო უწყებას, რომელსაც გააჩნია მსგავსი სახის კომპრომატები, აკრძალოს მათი ჩაწერა, გავრცელება და გაანადგუროს არსებული ვიდეო, ფოტო, აუდიო კომპრომატები“.**

„ბოდიში მამითხოვია“ და თქვე მართლა ლგბტ-ებო, თუ ეგეთები ხართ, მოახდინეთ „ქამინგ აუტი“ (ვინც არ იცის, თუ რას ნიშნავს „ქამინგ აუტი“, იხ. „საქართველოს რესპუბლიკაში“ დავით მხეიძის სტატია).



რატომ გრცხვენიათ?

მაგალითისთვის ვიტყვი, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს, ნამდვილად არ რცხვენია საკუთარი ორიენტაციის გასაჯაროება.

ეგ კი არადა, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში კლინტონ-ლევინსკის ცნობილი „ჰაბიტაცია“ მოხდა და მთელი ამერიკა აღშფოთებული იყო ამ ამბით, ერთ-ერთმა ამერიკულმა რადიოკომპანიამ თბილისში ქუჩის გამოკითხვა ჩაატარა. აინტერესებდათ, რა რეაქცია ექნებოდათ საქართველოს მოქალაქეებს, თუ მათი პრეზიდენტი ბილ კლინტონივით „არაკორექტულად“ მოიქცეოდა.

ამერიკელი ჟურნალისტების გასაოცრად, საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა წამახალისებელი კომენტარებით გამოხატა თავიანთი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.

არადა, როგორც სოციალურ ქსელ ფეისბუქის ერთ-ერთი მომხმარებელი წერდა: **„ამ კადრების ჩვენების შემდეგ, რამდენ ცნობად სახეს აეწვა ერთი ადგილი“.**

ისე, რაც მართალია, არც მიკვირს ამ ლგბტ-ისტების „შეშფოთება“.

არ მიკვირს, თუნდაც იმის გამო, რომ ყველა ის „ცნობადი სახე“, რომლებიც იდეურობის, ბედისა თუ სხვადასხვა უკუღმართობის „წყალობით“ მხარს უჭერდა ნაცმოძრაობას, იმ კურდღლის მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომელიც ქვეყნიდან იმიტომ გარბოდა, აქლემებს ნალები უნდა დააჭედონ, დაგჭედავენ, მერე ამტკიცე აქლემი არ ვარო.

არ მიკვირს, თუნდაც იმის გამო, რომ კადრების გავრცელების შემდეგ იმ „მინი პორნუხების“ „მონაწილეები“ პირველ რიგში იმაზე დაფიქრდებოდნენ, თუ რამდენმა ადამიანმა ნახა მათი სექსუალური „თამაშობანი“ (პროკურატურის გამომძიებლებმა, კომპიუტერის სპეციალისტებმა (ვინც დისკზე გადაიტანა), ტელეკომპანიების ხელმძღვანელებმა, ჟურნალისტებმა, მემონტაჟეებმა (ვინც სახეები დაფარა), დ.ა.შ.).

თბილისი პატარა ქალაქია და მაქსიმუმ, ერთ კვირაში თითქმის ყველას ეცოდინება ცნობადი ლგბტ-ების სახელები.

საოცარია ის „შეშფოთება“, რომელიც იმ ტელეკომპანიების წინააღმდეგ გამოითქვა, რომლებმაც კადრები გაასაჯაროეს (განცხადებაში აქცენტი განსაკუთრებით მეცხრე არხზე გაკეთდა, სხვები არ დაუკონკრეტებიათ),

საოცარია, რადგანაც საინფორმაციო გადაცემებში კომენტარებს მხოლოდ ამ გაუკუღმართებული მიდრეკილებების დამცველები აკეთებდნენ.

„ბოდიში მამითხოვია და“ მსგავსი ქმედება რეკლამას ხომ არ ჰგავს?

საშინლად არ მიყვარს ჩემს მიერ დაწერილი მასალებიდან რაიმე ამონარიდების მოტანა, რადგანაც მიმაჩნია, რომ ასეთი „გახსენებით“ „მე ხომ ვამბობდის“ პოზას ვიკავებ.

არც ახლა მოვიყვან რომელიმე კონკრეტულ მაგალითს. უბრალოდ ვიტყვი, რომ არასოდეს „ვწყალობდი“ ქართული სნობიზმით „გაჟღენთილ“ იმ ტელეგადაცემებს, რომლებშიც არანაკლები სნობი წამყვანებისგან ნაქებ-ნადიდები, ვითომდა „ხალხისთვის საყვარელი“ „ცნობადი სახეები“, თავიანთი ცხოვრებიდან სხვადასხვა ისტორიებსა თუ კურიოზებს გვიყვებოდნენ.

არ „ვწყალობდი“, რადგანაც ყველამ კარგად ვიცით, რომ ბევრი მათგანის „ცნობადობა“ ნამდვილად არ იყო ნიჭისა და უნარის დამსახურება.

ბევრს აღარ გავაგრძელებ და რადგანაც „ცნობადი სახეების თემას“ სოციალურ ქსელ ფეისბუქზე საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა, წერილს რამდენიმე სტატუსით დავამთავრებ.

**„კონკურსში „გოგნი გოგნი გოგონაა“ — გაიმარჯვა რეჟისორ მეგის ქარდავას გადაღებულმა კლიპებმა ნაც-ცნობადების მონაწილეობით“.**

**„ერთი ნაცი ეუბნება მეორეს: — მე ახლა უკვე ცნობადი სახე ვარ, ჩემი პროდიუსერი მეგის ქარდავაა“.**

**„მშვიდობაში მოახმაროთ ნაცებს ქარდავას გადმობირებული მხარდამჭერი „ცნობადი სახეები“ (არადა, ახლა რომ გადახედავ ნაცების მხარდამჭერებს, ყველაზე გაგკრავს ეჭვის ჭია, ეს ის ხომ არ იყო, ნაზად რომ მიუშვირა ერთი ადგილიო“).**

**„რა დრო დაგვიდგა! ქმარი ვერ გაგვიშვია წყნარად გარეთ. ემანდ ვინმე გზააბნეული ცნობადი სახე არ მიახტეს“.**

**„მიშას წინ მორბენალ ცნობად სახეს, ან მეგისი დაიჭერს და ან მეგისის კამერაო...“**

გია გაბრიჭიძე

ინფორმაცია

## თბილისი-რუსთავის ავტობანის მშენებლობაზე ახალი ტენდერი გამოცხადდება

**თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული საავტომობილო გზის მშენებლობაზე ახალი ტენდერი გამოცხადდება. ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ განაცხადა.**

**მისი თქმით, პროექტი კომპანია „ნიუ ენერჯის“ უნდა განეხორციელებინა, თუმცა, აქ იყო დანაშაულის შემცველი ნიშნები და სამინისტრომ აღნიშნულ მონაკვეთზე ტენდერი ხელახლა გამოაცხადა.**

**დავით ნარმანია კიდევ ერთხელ გამოეხმაურა „ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებას, თითქოს რამდენიმე პროექტი შეჩერდა და აღნიშნა, რომ მათ ვერ დაასახელეს ვერც ერთი ასეთი პროექტი.**

**— ერთადერთი, თბილისი-რუსთავის მაგისტრალზე თქვა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომ არის შეჩერებული“, — განაცხადა ნარმანიამ და აღნიშნა, რომ სინამდვილეში არც ეს პროექტი არ შეჩერებულა.**

**როგორც დავით ნარმანიამ განაცხადა, იმის გამო, რომ ტენდერის ხელახლა ჩატარება გახდა საჭირო, მშენებლობის დაწყების ვადა გადაიწევს.**

**ამასთან, მინისტრის განცხადებით, „ნიუ ენერჯის“ კიდევ ერთ მონაკვეთზე, კობი-გუდაურის გზის სამშენებლო სამუშაოები უნდა განეხორციელებინა, თუმცა, აქაც გაჩნდა კითხვის ნიშნები და შესაბამისი მოკვლევა მიმდინარეობს.**

ინტერპრესი





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# „გადატვირთვა“ ამერიკულად

**„ჩვენ ყველანი ჩავესები ვართ“, — ასე გაიძახოდნენ ინაუგურაციის დღეს, წითელ მაისურებში ჩაცმული ჩავესის მომხრე, მილიონზე მეტი ვენესუელელი, პრეზიდენტის სასახლის წინა მოედანზე და კარაკასის ქუჩებში შეკრებილები. ინაუგურაცია პრეზიდენტის გარეშე — ასე შეიძლება ვუწოდოთ სახალხო მანიფესტაციას. ისინი ქუჩაში არავის გამოუყვანია. ისინი ჩავესის სიყვარულმა გამოიყვანა, იმ ქარიზმატული ლიდერისა, რომელიც ჰავანის სამედიცინო კლინიკაში ებრძვის ყველაზე საშინელ მტერს, კიბოს. მეოთხე ოპერაციის შემდეგ ჩავესის მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, რომ საკუთარ ინაუგურაციაზე დასწრებაც ვერ მოახერხა.**

ჩავესის ჯანმრთელობის მდგომარეობა არა მარტო ვენესუელაში, არამედ მთელ ლათინურ ამერიკაში სერიოზული განსჯის საგანია. ერთნი სულმოუთქმელად ელიან მის გარდაცვალებას და ამ „ერთნში“, უპირველესად აშშ-ია — ჩავესის დაუძინებელი მტერი. მეორეთათვის, ჩავესი ახალი სოციალიზმის შემქმნელი და მისი დაცვის ხმალშემართული მებრძოლია, ღარიბთა მამა და იმედი, ხალხის სოციალური პირობების გამაუმჯობესებელი, ქვეყნის სუვერენიტეტისა და თავისუფლების დამცველი და ჰეგემონი ამერიკის რისხვა, ამერიკელთა გულის გასახეთქად რუსეთის, ირანის, ჩინეთის, ბელორუსის, კუბის მოკავშირე და მეგობარი.

ავადმყოფობამ აშკარად გამოავლინა ვენესუელის მოსახლეობის დიდი სიყვარული ავადმყოფი ჩავესისადმი. მსგავსს ყველა ქვეყნის მეთაური ინატრებდა, თუმცა, ეს ერთეულთა, თანაც უნიკალურთა ხვედრია, რაც ჩავესმა დაამტკიცა 14-წლიანი მმართველობის პერიოდში. ჩავესი კარიბის ზღვისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების უცილობელი ლიდერია, ტრანსნაციონალური კომპანიების რისხვა, უპოვართათვის 100 ათასი საცხოვრებელი სახლის მშენებელი.

„ჩავიზმი“, ჩავესის არარსებობის შემდეგაც, მრავალი ათეული წლის განმავლობაში გაჰყვება ლათინურ ამერიკას, — ასე აცხადებენ ცნობილი პოლიტოლოგები.

ჩავესის სახელი დამცინავ ღიმილს და გამონათქვამებს იწვევს ქართველ „პოლიტიკოს-პოლიტოლოგებში“, განსაკუთრებით ნაცებში, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან მათ ის უყვართ, ვინც ვაშინგტონს უყვარს. ვაშინგტონს არ უყვარს ჩავესი და „ჩავიზმი“, ქართულ პოლიტიკას, რატომ უნდა უყვარდეს?

რა ხანია საქართველო აშშ-ზეა აწყობილი— ათეულ-ათასობით კილომეტრზე დაშორებულზე. ამერიკული „სიტკბო“ შორეულზე უფრო მოქმედებს, ვიდრე კარის მეზობლებზე — ერთ დროს ამერიკულ ბოსტნად წოდებულებზე. ქართველ „პოლიტიკოს-პოლიტოლოგობას“ ხშირად უყვარს თქმა — „ლათინური ამერიკის ბანანის რესპუბლიკებს არ დავემსგავსოთო“. იმასაც ხშირად ამბობენ, თუ რა ინტენსიურობით ხდება იმ კონტინენტზე სახელმწიფო გადატრიალებები.

არადა, პოლიტიკურ-სამხედრო გადატრიალებების კბილები ლათინოსებმა რა ხანია დაიცვალეს. კარგა ხანია, ამ ქვეყნებში დემოკრატია ყვავის, მათ შორის ვენესუელაშიც. კარგა ხანია, ამ ქვეყნებში პარტიები მხოლოდ გამჭვირვალე, დემოკრატიული არჩევნების გზით მოდიან ხელისუფლებაში, რასაც ჩვენ, 20 წლის განმავლობაში, მხოლოდ ერთხელ მივაღწიეთ. ერთი სიტყვით, ვითარება იმ ძველ ანეკდოტსა ჰგავს: კოჭამდე ტალახში მდგარი ორი გურული საფრანგეთში გადახვეწილ მეგობარს რომ იხსენებს — ნეტავ რავაა უბედური ამბაკოო.

ჩავესმა დიდი საქმე გააკეთა — შესძინა რა თავისუფლების რწმენა საკუთარ ხალხს (და არა მარტო მას), ამერიკული ჰეგემონიზმისგან თავისუფლების რწმენა. ბევრმა სხვამ ეს ვერ მოახერხა, მათ შორის საქართველოს ლიდერებმა. რაც მათ მოახერხეს — ამერიკისადმი თავდავიწყებული ტრფიალია, ამერიკული ცხოვრებისადმი ხოტბა, საკუთარი „მეს“ დაკარგვა. ახალმა საქართველომ ის მოახერხა — ჰილარი კლინტონისთვის ეპატაკა — ინგლისურს პირველი კლასიდან ვასწავლით, თანაც ამერიკელი მასწავლებლების დახმარებითო.

საკანდიდატო დისერტაციის დაცვისას, ახალგაზრდა „მეცნიერი“ დამსწრე საზოგადოებას გვიმტკიცებდა, საქართველო ნატოში იმიტომ უნდა შევიდეს, რომ ვაშინგტონი და თბილისი ერთ განედზეა, იქ რომ მზეა, აქაც მზე არისო.

მას შემდეგ 8 წელიწადი გავიდა, მაგრამ მავანი „მეცნიერის“ წინასწარმეტყველება ვერა და ვერ ასრულდა.

**გულს ნუ გავიტეხთ. არ გვაქვს ნატო, მაგრამ გვაქვს ბუშის ქუჩა, რეიგანის ძეგლი, ლუგარის სახელობის კვლევითი ინსტიტუტი და, რაც მთავარია, სისხლში და ხორცში გამჯდარი ამერიკელობა — „კოჰაბიტაციის“ და „ვაუს“ ძახილით. გვაქვს ამერიკულის მშობლიურივით განცდაც. ქართული პოლიტიკა ისე განიცდის აშშ-ში მიმდინარე ავკარგს, როგორც საკუთარ ქვეყანაში, ხშირად საკუთარზე მეტად. თუ სტრატეგიული პარტნიორობაა — ასეც უნდა იყოს.**

ქართულ პოლიტიკას ახარებს ამერიკელთა სიხარული, ამერიკული ზეიმი, თუნდაც ისეთი, პრეზიდენტის ინაუგურაციას რომ ახლავს თან. ეს ზეიმი წინ გვაქვს და ის უდავოდ გაათკეცდება, თუ ჩვენს „სახეს“, ჩვენს პრეზიდენტს ვიხილავთ მიწვეულ უცხოელ სტუმართა შორის. მაინც რა დიდი საჩუქარი იქნება ეს ქვეყნისთვის, პირადად სააკაშვილისთვის. ქვეყნისთვის იმიტომ, რომ მავანი „ოცნებელები“ უეჭველად იტყვიან — თეთრმა სახლმა სააკაშვილი კი არა, საქართველო მიიწვიაო. ასეა თუ ისე, ერთი სასიამოვნო გაყრუოლება გველის.



სულ რამდენიმე დღეც და ვაშინგტონში გაიმართება მეორედ არჩეული პრეზიდენტის ბარაკ ობამას ინაუგურაცია. გასული წლის ნოემბერში ჩატარებულ არჩევნებში გამარჯვება წილად ხვდა ფერადკანიან ობამას, თუმცა, ამჯერად მის კანის ფერზე საჯაროდ აქცენტი არ გაკეთებულა. ფარულად კი, როგორც ანალიტიკოსები ამბობენ — იცოცხლეთ. მათი აზრით, ნოემბრის არჩევნებმა ფარული რასიზმი დააფიქსირა. სტატისტიკის მიხედვით, აშშ-ს თეთრკანიანი მოსახლეობის 60% ობამას წინააღმდეგ მისცა ხმა, მაშინ, როდესაც პრეზიდენტს მხარი დაუჭირა აფროამერიკელთა 93%-მა, აზიელთა — 73%-მა და ლათინოსთა — 71%-მა.

ობამამ შეუძლებელი შეძლო - გაემარჯვა მაშინ, როდესაც ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური პრობლემები, მაღალი უმუშევრობა და ბიუჯეტის დეფიციტი სუფევდა.

აშშ-ს სახე სწრაფად იცვლება. თეთრკანიანთა ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში 70%-ს შეადგენს. დემოგრაფთა გამოთვლით, საუკუნის შუაწელზე ის 50%-მდე შემცირდება. შორს არ არის ის დღეც, როდესაც თეთრი სახლისთვის იბრძოლებენ ლათინური ამერიკის, ინდური თუ ჩინური წარმოშობის ადამიანები. ნოემბრის არჩევნებში რესპუბლიკელებს მხარი დაუჭირა თეთრკანიანი საშუალო ფენის 52%-მა, პენსიონერთა — 56%-მა, ამერიკის პერიფერიაში მცხოვრებმა — 59%-მა. დემოკრატებს — ქალაქელთა 62%-მა, ახალგაზრდათა — 60%-მა, ქალთა — 55%-მა და ღატაკთა — 60%-მა, გარდა ამისა, ეთნიკური და სქესობრივი უმცირესობის — 70%-მა.

**აშშ-ს სახე სწრაფად იცვლება. თეთრკანიანთა ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში 70%-ს შეადგენს. დემოგრაფთა გამოთვლით, საუკუნის შუაწელზე ის 50%-მდე შემცირდება. შორს არ არის ის დღეს, როდესაც თეთრი სახლისთვის იბრძოლებენ ლათინური ამერიკის, ინდური თუ ჩინური წარმოშობის ადამიანები.**

დემოკრატთა დევიზი იყო — სოციალური უზრუნველყოფისთვის და განათლებისთვის დაფინანსების გაზრდა, ავღანეთის ომის დასრულება, მდიდრებისთვის — გადასახადების გაზრდა, იმიგრაციის რეფორმის ჩატარება. რესპუბლიკელების — გადასახადების შემცირება, სოციალური ხარჯის შემცირება, სამხედრო ბიუჯეტის გაზრდა, არალეგალი იმიგრანტების ქვეყნიდან გაძევება, აბორტების საყოველთაო აკრძალვა.

დღევანდელი დემოკრატიული პარტია ევროპის სოციალ-დემოკრატიული პარტიების მსგავსია. რესპუბლიკური კი — მემარჯვენე კონსერვატიული, ევროპის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიების მსგავსი. არჩევნების შემდეგ დემოკრატები აკონტროლებენ თეთრ სახლს და სენატს, რესპუბლიკელები — კონგრესის წარმომადგენელთა პალატას.

საფინანსო-ეკონომიკური საკითხების გარდა, ორ პარტიას შორის საგარეო პოლიტიკაშიც არის აზრთა სხვაობა. მაგალითად, რესპუბლიკელები მოითხოვენ „გადატვირთვის“ გაუქმებას, რუსეთის გეოპოლიტიკურ ნომერ პირველ მტრად გამოცხადებას. ობამამ უკუაგდო ეს წინადადებები, თუმცა, რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას საშველი არ დაადგა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ოთხი წლის განმავლობაში, დემოკრატი ობამას საგარეოპოლიტიკური კურსი, ნაკლებად განსხვავდება წინამორბედ ბუშის პოლიტიკისგან.

ბუშის ადმინისტრაციამ სერიოზული მარცხი განიცადა ერაყსა და ავღანეთში, პოსტსაბჭოთა სივრცეში ფერადყვავილოვანი რევოლუციების ორგანიზებაში. ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ — ვერაფერი გააწყო ახლო აღმოსავლეთის სისხლისღვრასთან, ავღანელ თალიბებთან, „გადატვირთვასთან“.

ობამას ადმინისტრაციამ ვერ შეძლო არაბული რევოლუციების შემდეგ, იმ ქვეყნებში საკუთარი პოზიციების განმტკიცება. არაბული რევოლიციების მიწყნარებასთან ერთად, მიწყნარდა აღფრთოვანებული ლაპარაკი არაბულ დემოკრატიაზე. ეიფორიული განწყობა პესიმისტურით შეიცვალა, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან ბევრის მომლოდინე ხალხს, ხელში შერჩა რელიგიურ, ეთნიკურ, ტომობრივ ნიადაგზე დაფუძნებული პერმანენტული სისხლიანი დაპირისპირება. მისი კონტროლქვეშ მოქცევა შეუძლებელი გახდა.

არავინ იცის, როგორ შეიძლება მოევლოს სირიას. აშშ ადანაშაულებს რუსეთს, ჩინეთს და ირანს ბაშარ ასადისთვის სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერის გამო. თავის მხრივ აღნიშნული ქვეყნები ადანაშაულებენ აშშ-ის, ბაშარ ასადის წინააღმდეგ მებრძოლი გადამთიელების მხარდაჭერაში. აშშ-ს სენატმა აუკრძალა პენტაგონს რუსული სამხედრო შვეულმფრენების შესყიდვა. ამ საფრენი აპარატებით პენტაგონი ავღანეთის ჯარს აიარაღებდა. სენატმა აკრძალვის საბაბად სირიისთვის რუსეთის მიერ იარაღის მიწოდება მოიყვანა, და ეს მაშინ, როდესაც ობამას ადმინისტრაციამ ვერაფერი გააწყო მოკავშირე ერაყის ხელისუფლებასთან, რომელიც ფართო საჰაერო დერეფანს უქმნის ირანს, სირიისთვის იარაღის მიწოდებაში.

**ცნობისათვის:** ერაყი სულ უფრო ენერგიულად უჭერს მხარს ირანს, იზიარებს რა მის პოლიტიკას არა მარტო სირიასთან მიმართებაში, არამედ სხვა პოლიტიკურ საკითხებშიც.

ანტირუსულ განცხადებებსა და მოქმედებაში განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდა უკვე ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი. არადა, ოთხი წლის წინათ, ობამას ადმინისტრაციის ხელისუფლებაში მისვლის შემდეგ, მსოფლიო მედიისა და ტელეეკრანების სენსაცია იყო მომღიმარი კლინტონისა და ლავროვის ფოტო და ვიდეო-კადრები - „გადატვირთვის“ სიმბოლოთი ხელში. რა დიდი სხვაობაა ამ კადრებსა და კლინტონის ბოლო განცხადებას შორის? — „დარწმუნებული იყავით, ჩვენ ვიცით ამ კავშირების მიზნების შესახებ და ყველაფერს გავაკეთებთ ხელის შესაშლელად“. საკითხი ეხება ჩეხეთში, რუსეთის მიერ ბირთვული ელექტროსადგურის მშენებლობას.

კლინტონმა, დაძაბულ გრაფიკში, პრაღაში ჩაფრენის დროც გამონახა, რათა ჩეხეთის ხელისუფლებისთვის საყვედური ეთქვა მშენებლობის პროექტზე ხელის მოწერის სურვილისთვის. ჩეხეთის შემდეგ, დუბლინში კლინტონმა დაუფარავად თქვა, რომ ამერიკა ყველანაირად შეეცდება ხელი შეუშალოს რუსეთსა და მის მეზობლებს შორის ეკონომიკური და საბაჟო კავშირების შექმნას.

კლინტონს არც სენატორი ლუგარი ჩამორჩა. მან, პოსტიდან წასვლისას, ყველას მოუწოდა წინ აღუდგნენ რუსეთის ჰეგემონიზმს ენერგომატარებლების ტრანსპორტირების საქმეში. განსაკუთრებით შეებრძოლონ კასპიის ზღვის აუზიდან, რუსეთის გავლით, ენერგომატარებლების ევროპისათვის მიწოდებას.

ენერგეტიკა ის დარგია, სადაც აშშ რუსეთს ყველაზე დიდ მეტოქედ მიიჩნევს. განსაკუთრებულ ღელვას იწვევს რუსეთის მიერ სხვადასხვა ქვეყანაში ბირთვული ელექტროსადგურების მშენებლობა, ისე, როგორც იარაღით ვაჭრობა. ამ დარგებში რუსეთი მსოფლიოში მეორე ადგილზეა და სამომავლოდ დიდ კონკურენციას გაუწევს ამერიკას.

„გადატვირთვის“ პროცესს ლახვარი ჩასცა ე.წ. „მაგნიტსკის აქტმა“, რომელიც არათუ ჩამორჩება, აჭარბებს კიდევაც 1974 წელს შემოღებულ ჯეკსონ-ვენიკისას. „კონგრესი თვლის, რომ აშშ-მა მხარი უნდა დაუჭიროს და დაეხმაროს რუს ხალხს მის მცდელობაში დაამყაროს მტკიცე დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა, რომელიც პატივს სცემს პიროვნების თავისუფლებას და ადამიანის უფლებებს, „რადიო თავისუფლებისა“ და ინტერნეტის მეშვეობით მიწოდებული, ობიექტური ინფორმაციის დახმარებით.

აშშ-ის მთავრობისა და ხალხის შეშფოთების საგანია რუსეთის ხელისუფლების ზეწოლა სხვაგვარად მოაზროვნეებსა და პოლიტიკურ ოპოზიციაზე, სამოქალაქო საზოგადოების და დამოუკიდებელი მედიის შეზღუდვა, პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის გაუარესება“, — აღნიშნულია კონგრესის დოკუმენტში.

**არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ დოკუმენტი, უდავოდ, დაიკავებდა შესაბამის საპატიო ადგილს „ცივი ომის“ პერიოდში, მაგრამ ერთობ შეუფერებელია 21-ე საუკუნის მეორე დეკადისათვის, მით უმეტეს ე.წ. „გადატვირთვის“ პერიოდისთვის. გაკვირვებს ისიც — თუ რატომ უნდა შფოთავდეს ამერიკელი ხალხი რუსეთის სამზარეულოთი? ნუთუ რუსული სამზარეულო სააკაშვილის სამზარეულოზე უფრო აუტანელია? ნუთუ ამერიკელს ჰგონია, რომ ის, რაც მან საქართველოში შექმნა — დემოკრატიაა, ხოლო სააკაშვილი დემოკრატიის შუქურა?**

**ამერიკელთა, განსაკუთრებით კი საქართველოს „პოლიტიკოსთა“ გასაგონად მინდა ვთქვა, რომ თუ ქართული, „მიშისტური“ დემოკრატია დემოკრატიაა, პუტინური დემოკრატია — ხალასი ბრილიანტია.**

ისე, კაცმა რომ თქვას, ვერც ე.წ. დემოკრატიის აკვანი ვერ დაიკვეხნის ნამდვილი დემოკრატიით, თუნდაც ადამიანის უფლებების დაცვით. ადამიანის უფლებებს არ იცავენ ზარბაზნებით, ისე, როგორც ეს იყო ერაყში და არის ავღანეთში, რომ არაფერი ვთქვათ ადრინდელ სამხედრო ექსპანსიებზე.

**ადამიანის უფლებებს არ იცავენ „ფერადყვავილოვანი“ რევოლუციებით, ამა თუ იმ ქვეყნის მიმართ ძირგამომთხრელი პროპაგანდითა და მზაკვრული ქმედებით, თუნდაც ისეთით, რასაც ადგილი ჰქონდა გივი თარგამაძის მხრიდან, რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. პოლიტიკური „ოღრაშობა“ ჰქვია იმას, როდესაც საჯაროდ გმობ გაეროში, პალესტინის სასარგებლო კენჭისყრას, კულისებში კი მეგობარი ისრაელის საწინააღმდეგო კენჭისყრას დირიჟირობ.**

ამა თუ იმ ქვეყნის დემოკრატიის ხარისხი სხვა ქვეყანამ, თუნდაც დიდმა კი არ უნდა შეაფასოს, არამედ მსოფლიო ორგანიზაციამ — გაერომ, ცხადია, სხვათა, განსაკუთრებით, ამერიკელთა კარნახის გარეშე.

**ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებზე ყურადღების გამახვილება სულაც არ არის გამოწვეული ამ ქვეყნების მიმართ მოჭარბებული სიყვარულით. საქმე ის არის, რომ ამერიკა, საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია, რუსეთი კი ჩვენი მეზობელი. ამერიკის გარკვეული წრეების მიერ საქართველოს ანტირუსულ წაქეზებას მძიმე შედეგები მოჰყვა - უნიკალური ტერიტორიების დაკარგვის სახით.**

**მათ შორის ვითარების შემდგომი დაძაბვა საქართველოსაც შეეხება, რამეთუ დაძაბულობის საბაბი, ენერგეტიკისა და იარაღით ვაჭრობის გარდა, გავლენის სფეროთა მოპოვება და განმტკიცებაა. რუსეთის გეგმებში არ შედის კავკასიაში, საუკუნეთა განმავლობაში მოპოვებული პოზიციების დათმობა. პოზიციებს არც კავკასიაში სულ რაღაც თითზე ჩამოსათვლელ პერიოდში გამოჩენილი ამერიკა აპირებს. ეს რომ ასეა, თბილისში, ამერიკელთა მიერ აშენებული ვეება საელჩოც კმარა. ორთა ჭიდილი საქართველოს ხელისუფალთაგან უდავოდ მოითხოვს აწონდაწონილ მოქმედებას, ნამდვილ და არა ბუტაფორიულ დიპლომატიას. ასეთის შემთხვევაშიც კი დაზღვეული ვერ ვიქნებით ძლიერი ქარიშხლისგან.**

დავუბრუნდეთ ამერიკის არჩევნებს. ნოემბერში ამერიკელებმა არა მარტო პრეზიდენტი აირჩიეს, არამედ კონგრესის წევრები, 11 შტატის გუბერნატორი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. ამერიკის არჩევნები განსხვავდება სხვა ქვეყნის არჩევნებისგან. მიზეზი ამისა არის ის, რომ ამერიკაში არ არსებობს ერთიანი საარჩევნო სისტემა. ყველა შტატი არჩევნებს წარმართავს საკუთარი წესების მიხედვით. ამერიკელები, რომლებიც ხმას აძლევენ ამა თუ იმ კანდიდატს, ფაქტობრივად ირჩევენ არა პრეზიდენტს, არამედ ამომრჩეველს. ამომრჩეველთა კოლეგიაში 538 ადამიანია, თითოეულ შტატს იმდენი ამომრჩეველი ჰყავს, რამდენიც კონგრესში კონგრესმენი და სენატორი. ყველაზე დიდი რაოდენობის ამომრჩეველი — 55 კალიფორნიას ჰყავს, შემდეგ ტეხასს — 38, ნიუ-იორკს — 29 და ა.შ. ყველაზე მცირე რაოდენობა — 3-3 ჩრდილოეთ დაკოტას, სამხრეთ დაკოტას, ვაიომინგს და სხვა.

გამარჯვებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს არა ნაკლები 270 ამომრჩევლის ხმა. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატები ვერ მოაგროვებენ ამომრჩეველთა უმრავლესობის ხმებს, მაშინ პრეზიდენტს აირჩევს კონგრესის წარმომადგენელთა პალატა.

სულ მალე გაიმართება გამარჯვებული ობამას ინაუგურაცია. უნდა ვიმედოვნოთ, რომ მისი პრეზიდენტობის პირველი ნახევრის დასაწყისში მიღებული ნობელის პრემია, მეორე ვადით პრეზიდენტობისას გაამართლებს სამშვიდობო მოლოდინებს.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## კრიმინალი

# რას აკეთებდნენ დაკავების ოპერაციისას მაღალჩინოსანი ნაცმოძღლები?

## მუხროვანის ე.წ. „ამბოხის“ საქმის დეტალები კობა ოთანაძისგან

**პოლიტპატიმრის სტატუსით ციხიდან გამოსული კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე მათი საქმის ხელახალი გამოძიების თხოვნით საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართავენ. დღევანდელ სასამართლოს კი უნდობლობას უცხადებენ და მიიჩნევენ, რომ მათ საქმეებზე ობიექტური სასამართლო განხილვა მხოლოდ ახალი ხელისუფლების მიერ დაგეგმილი სასამართლო რეფორმის შემდეგ გახდება შესაძლებელი.**

**შეგახსენებთ, კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე 2009 წლის 5 მაისს მუხროვანის სამხედრო ნაწილში ამბოხების მოწყობის ბრალდებით გაასამართლეს, თუმცა, სამხედროები აცხადებენ, რომ არავითარი ამბოხება არ მომხდარა, უბრალოდ მაშინდელ ხელისუფლებას ჰქონდა ინფორმაცია, რომ ოფიცერთა გარკვეულ ნაწილში ხელისუფლების მიმართ პროტესტი მწიფდებოდა და ამიტომ მოაწყო ამბოხის ინსცენირება, რათა ეს ადამიანები დაეჭირა და თან მათი დისკრედიტაცია მოეხდინა. გთავაზობთ ინტერვიუს თადარიგის პოლკოვნიკ კობა ოთანაძესთან.**

–„მე მქონდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლება რაღაცას ამზადებდა. კერძოდ, ლევან ამირიძეს წინა დღეს დაუჭირეს შტაბის უფროსი და უწყობდნენ პროვოკაციას, რადგან ამირიძე გადადგომის თაობაზე განცხადების გაკეთებას აპირებდა. საერთოდ, სამხედროების დიდი ნაწილი ჩემი ყოფილი ჯარისკაცები არიან და ამიტომ, მე მქონდა ინფორმაცია, რომ ამირიძის წინააღმდეგ რაღაც მზადდებოდა. სწორედ ამიტომ მივედი მე იმ დღეს მუხროვანში, თორემ იმ დროისთვის მეც და გია კრიალაშვილიც თადარიგის ოფიცრები ვიყავით, ანუ აღარ ვმსახურობდით. როგორც ჩანს, საakაშვილს გაუხარდა კიდეც, მუხროვანში ჩვენც რომ მივედით, რადგან ამ ე.წ. „ამბოხებას“ მიგვაბა და მეც დამიჭირა. ჩვენ არც ჯარი გვყავდა და არც სამხედროები და საინტერესოა, როგორ უნდა მოაწყოს ამბოხება ადამიანმა, რომელსაც დაქვემდებარებაში სამხედროები არ ჰყავს? რა თქმა უნდა, არანაირი ამბოხი არ მომხდარა.

**— როგორც თქვენ ამბობთ, ოფიცრები თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადების გაკეთებას აპირებდნენ, რადგან მათ შორის მაშინდელი ხელისუფლების მიმართ პროტესტი მომწიფდა. ეს მხოლოდ მუხროვანში ხდებოდა, თუ სხვაგანაც?**

— გადადგომის შესახებ განცხადების გაკეთება ორ ოფიცერს, ლევან ამირიძესა და მამუკა გორგიაშვილს უნდოდათ.

**— მათ დაქვემდებარებულ სამხედროებს შორის თუ იყვნენ მათი თანამოაზრეები?**

— დიახ, რა თქმა უნდა, მათ ძალიან ბევრი თანაუგრძნობდა. ხელისუფლებას კი ამის შესახებ ინფორმაცია ჰქონდა და, როგორც ჩანს, ამიტომაც „გაგვანეიტრალეს“. მე რომ მივედი მუხროვანში, სამხედრო ნაწილი უკვე ალყაშემორტყმული იყო. ადგილზე როგორც შინაგან საქმეთა, ასევე თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფები იყო მობილიზებული, არტილერიაც იყო, ავიაციაც და ა.შ. ფაქტობრივად მთელი შეიარაღებული ძალები, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეობდნენ, ამ ერთი სამხედრო ნაწილის წინააღმდეგ გამოიყენეს.

ხელისუფლების წარმომადგენლებს ეგონათ, რომ რაღაც პროვოკაციას მოაწყობდნენ და შემდეგ დაბომბავდნენ ნაწილს. მიშა სააკაშვილს ხომ არ აინტერესებს, რამდენი კაცი მოკვდება, მისთვის მთავარი იყო, თავისი სკამი გაემყარებინა და ის საპროტესტო მუხტი ჩაეკლა, რომელიც ქვეყანაში არსებობდა. ფაქტობრივად, მან ეს მოახერხა კიდეც, ამბოხების მოწყობა დაგვაბრალა, ჩვენზე ძებნა გამოაცხადა და გახსოვთ, ალბათ, რა ფასები დაგვადო მაშინ. თავისი ამ ქმედებებით, სააკაშვილმა ეს საპროტესტო მუხტი შეაჩერა.

**— თქვენ ამბობთ, რომ ხელისუფლებას პროვოკაცია ჰქონდა ჩაფიქრებული. ამდენად, თქვენ ფიქრობთ, რომ სააკაშვილი მაშინ ყველაფერზე წამსვლელი იყო, თუნდაც ეს სამხედროებს შორის შეიარაღებულ დაპირისპირებამდე მისულიყო?**

— დიახ, მას სწორედ ეს ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ არ გამოუვიდა, რადგან ჩვენ იქ უიარაღოდ, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულები მივედით. სააკაშვილს კი ამ პროვოკაციის მოწყობა იმიტომ არ გამოუვიდა, რომ ჩვენ, მე, გია კრიალაშვილი და ლევან ამირიძე გავერიდეთ მას. საერთოდაც, ჩვენ ქვეყნის დატოვებას ვაპირებდით, მაგრამ არა იმიტომ, რომ რაიმეში ბრალი მიგვიძღვოდა, არამედ იმიტომ, რომ ვიცოდით, სააკაშვილი ასე არ გაჩერდებოდა და რაღაც უბედურებას ჩაიდენდა. ჩვენ ტყეში გავიხიზნეთ და იქიდან ვაპირებდით საქართველოს დატოვებას.



**— რაც შეეხება თქვენი დაკავების ოპერაციას, როდესაც თქვენ ქალაქის შემოგარენში პრაქტიკულად ჩაგცხრილეს მანქანაში, იქნებ უფრო დეტალურად მოგვიყვეთ, როგორ მოხდა ეს ყველაფერი?**

— ჩვენ გვქონდა კავშირი ჩვენს ახლობლებთან, რომლებიც მანქანით უნდა მოსულიყვნენ ჩვენთან, ტყეში და დაგვხმარებოდნენ ქვეყნის დატოვებაში. მაშინ ჩვენ არ ვიცოდით, რომ უკვე მკაცრ კონტროლზე ვყავდით აყვანილები. კერძოდ, ჩვენი სახლები, ასევე ჩვენი ნათესავების, ახლობლების სახლები ბლოკირებული იყო, ყველგან იდგნენ სნაიპერები და ყველა ჩვენი სატელეფონო საუბარი ისმინებოდა.

**— თქვენ ელოდებოდით თქვენს ახლობლებს და მათ ნაცვლად სპეცრაზმელები მოვიდნენ?**

— დიახ, ისინი სწორედ იმ მანქანით მოვიდნენ, რომლითაც ჩვენს ახლობლებს უნდა მოეკითხათ ჩვენთვის. ეს იყო სატვირთო მიკროავტობუსი, რომელშიც სპეცრაზმელები იყვნენ ჩასაფრებულები. მათ რაღაცები ჰქონდა გადაფარებული და ჩვენ ვერც კი ვიეჭვეთ, რომ ამ მანქანაში ჩვენს გარდა კიდევ ვინმე იყო, გვეგონა, რომ ეს რაღაც ტვირთი იყო. ჩვენ ავედით მანქანაში და მანქანა დაიძრა. დაახლოებით 3 წუთის შემდეგ გზა საპატრულო პოლიციის მანქანამ გადაგვიკეტა, ვიღაცები ამოცვივდნენ მანქანაში და პირდაპირ გაგვიხსნეს ცეცხლი.

**— დაახლოებით რამდენი ადამიანი მონაწილეობდა ამ სპეცოპერაციაში?**

— ალბათ, დაახლოებით 400-500 კაცი იყო და ჩვენი დაცხრილვის შემდეგ, როდესაც მანქანიდან გადმოგვყარეს და ნახეს, რომ ცოცხალი ვიყავი, ხელები დამიცხრილეს. ფაქტობრივად სასიკვდილოდ გაგვიმეტეს ყველა. მოგეხსენებათ, გია კრიალაშვილი დაიღუპა და ჩვენ კი, მე და ამირიძე, სასწაულად გადავრჩით. მე 14 ჭრილობა მქონდა და სხეულიდან 9 ტყვია ამომიღეს.

**— ბატონო კობა, ამ სპეცოპერაციაში მაღალი თანამდებობის პირებიც მონაწილეობდნენ?**

— დიახ, იქ იყვნენ ვანო მერაბიშვილი, გივი თარგამაძე და გიგი უგულავა.

**— რა ფორმით მონაწილეობდნენ ისინი ამ ყველაფერში?**

— ისინი ბრძანებებს და მითითებებს იძლეოდნენ, ამასთანავე, მიშას ახსენებდნენ და არ ვიცი, ვინმე მას ტელეფონით ესაუბრებოდა, თუ ისიც იქ იყო, ამასთან დაკავშირებით მე ინფორმაცია არ მაქვს.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ შესაძლოა ადგილზე პრეზიდენტიც იმყოფებოდა?**

— იცით როგორი სიტუაციაა, ყველა იქ იყო, ყველა მაღალი თანამდებობის პირი. ეს სამი მე ამოვიცანი, რადგან სახეზე ვცნობდი მათ, დანარჩენებზე უბრალოდ არაფრის თქმა არ შემიძლია, რადგან დაცხრილულს მანქანიდან რომ გადმოგაგდებენ და წიხლებს გირტყამენ, ძნელია იქ გაარჩიო, ვინ არის ადგილზე და რას აკეთებენ.

**— ბატონო კობა, არსებობს ინფორმაცია, რომ უკვე გარდაცვლილ გია კრიალაშვილს გივი თარგამაძე წიხლებს ურტყამდა. თქვენ შეგიძლიათ ეს დაადასტუროთ?**

— როგორც გითხარით, მანქანიდან რომ გადმომაგდეს, უკვე ძალიან ცუდად ვიყავი, ამის შემდეგ ხელები დამიცხრილეს და ცემა დამიწყეს. ამიტომ პრაქტიკულად ველარაფერს ვხედავდი და აღვიქვამდი. შესაბამისად, ამაზე არაფრის თქმა არ შემიძლია. შესაძლოა, იქ მყოფთაგან ვინმემ დაინახა და იმან გააჟღერა ეს ინფორმაცია.

**— როგორც ცნობილია, თქვენზე ზეწოლა ამის შემდეგაც გაგრძელდა და აღიარებითი ჩვენების მიცემას გაიძულებდნენ. ამაზე რომ მოგვიყვეთ თუ შეიძლება?**

— ჩვენ ღუდუშაურის კლინიკაში გაგვიკეთეს ოპერაცია, რისთვისაც იქაურ ექიმებს მადლობას ვუხდი, რომ გადაგვარჩინეს. ოპერაციიდან მესამე ან მეოთხე დღეს „რეზბალნიცაზე“ გადაგვიყვანეს. იქ მომიტანეს დაწერილი ფურცელი და მეუბნებოდნენ, რომ ამაზე ხელი უნდა მომეწერა და თუ მოვაწერდი ხელს აღიარებით ჩვენებას, დაბალ სასჯელს მომცემდნენ, თუ არადა 30 წელს მოგისჯითო და მომისაჯეს კიდეც.

**— ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც გაიძულებდნენ აღიარებით ჩვენებაზე ხელის მოწერას?**

— ესენი იყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, რომლებსაც მე სახეზე ვცნობ, თორემ ისე ისინი ცნობილი პიროვნებები არ არიან, თუმცა, როდესაც ეს ყველაფერი ხდებოდა, ისინი პირდაპირ მერაბიშვილს უკავშირდებოდნენ ტელეფონით და მითითებებს მისგან ღებულობდნენ.

**— რა სახის ზეწოლა იყო თქვენზე აღიარებითი ჩვენების მოსაპოვებლად?**

— მოგეხსენებათ ნაოპერაციები ვიყავი, წვეთოვნები მქონდა შეერთებული, შემოვარდნენ, ეს ყველაფერი მომაძრეს, საწოლიდან გადმომაგდეს და ა.შ. ამის გამო თიაქარიც მაქვს დარჩენილი. ცემით არ ვუცემივარ, ან რაღა უნდა ვეცემე, ნახევრად მკვდარი ვიყავი, მაგრამ სიტყვიერი მუქარები იყო. მეუბნებოდნენ, მოგკლავთ და ვიტყვით, რომ ტყვიით მოკვდიო.

**რუსიკო უჩიკიშვილი**

## რეპლიკა

# მანდარინი, მანდარინი, სად – იაფი, სადაც – ძვირი...

ტელეეკრანიდან, გაგიხარიათ, ბევრ სამუნათო ამბავს ვხედავთ და ვისმენთ (არადა, დასამუნათებელ ამბებში რა არის გასახარი...); ბოლოხანს განსაკუთრებით საგულისყურო გახდა ყავლგასული პრეზიდენტის ოპოზიციურ-პროპაგანდისტულ-ბუნტარული გამოსვლები, მაგრამ ამჯერად გულისყური ისეთ უბრალო, ყოფით წვრილმანზე უნდა გადავიტანო, როგორიც მანდარინი და იმისი „შეფასებაა“.

თურმე, ნუ იტყვით და, აჭარაში მანდარინს სახელმწიფო 20 თეთრად (20-ად!) იბარებს და იმასაც იმადლება – „იწვალება“: ჩამბარებლებს გრძელზე-გრძელ რიგებში უწევთ დგომა და მგონი ღამისთევაც; არადა, 20 თეთრად „ჩაბარებადი“ მანდარინი მარკეტებში 1.60-ად (ლარი და სამოცი თეთრი!) იყიდება და ამრიგად, რვაჯერ უფრო ძვირად „გაყიდვადი“ ხდება. რვაჯერა, კაცოო!!!

ადრე ყურძენს დაემართა ეგრე – ლამის მუქთად ბარდებოდა და ოთუსბირად იყიდებოდა. ნაცების ხელში დაიწყო ეს, მაგრამ ქართცნელებმა რომ „მოუსწრეს“, ასევე გააგრძელეს. მანდარინის ფასის „მეტამორფოზას“ კი სუფთად „ოცნების“ ხანაში ვხედავთ და გამკითხავი არცვინაა.

შენ წვრილმანი უთხარი და ხალხზე, მოსახლეობაზე ზრუნვა ხელისუფლებას წვრილმანებშიც უნდა უჩანდეს. „მსხვილმანები“ იმ წვრილმანებისგან შედგება, შევახსენე მე აქ ახლებს – გამქრალ მემარჯვენეებში არ აგერიოთ...

**ბერდია ბედოიძე**

## ინფორმაცია

# სტიქიით დაზარალებული მოსახლეობა კომპენსაციების დარიგებას ითხოვს

**როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, ამ მოთხოვნით გურჯაანის რაიონის სოფლების ვაზისუბნის და შაშიანის მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა. როგორც საპროტესტო აქციის მონაწილეები აცხადებენ, ხელისუფლებას დაპირებული კომპენსაცია დღემდე არ დაურიგებია.**

**ისინი ბიძინა ივანიშვილს წინასაარჩევნო დაპირებას ახსენებენ და ამბობენ, რომ კომპენსაცია თუ დროულად არ დარიგდა, გლეხები საგაზაფხულო სამუშაოებს ვერ იწყებენ.**

**აქციის მონაწილეებმა თელავი-ბაკურციხე-თბილისის მთავარი მაგისტრალის გადაკეტვაც სცადეს, თუმცა, საპატრულო პოლიციამ გზის გადაკეტვის საშუალება არ მისცა. აქციაზე გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებიც გამოჩნდნენ. გამგებლის მოადგილემ ზურა დანელიშვილმა აქციის მონაწილეებს კომპენსაციის გაცემის კონკრეტული თარიღი ვერ დაუსახელა და აქციას „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ორგანიზებული უწოდა.**



**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ⓞ აი, შენობა!!!

# მანდატურები კი მალავენ, მაგრამ...

## დეპუტატებს ბიუროს სხდომათა დარბაზი დროებით არა აქვთ

**საქართველოს პარლამენტს დროებით ბიუროს სხდომათა დარბაზი არა აქვს. თუ აქამდე საკანონმდებლო ორგანოს სხვადასხვა ფლიგელში წვიმა ჩამოდიოდა, ამჟამად ბიუროსთვის განკუთვნილი დარბაზი ჭერში დამონტაჟებულმა სახანძრო მილმა დააზიანა, რამაც საქართველოს დროშის ფერებში გადაწყვეტილი ბიუროს დარბაზი დატბორა.**

**For.ge-მ ბიუროს დარბაზი დაათვალიერა. დაზიანებულია ხის ჭერი, რამდენიმე მიკროფონი და მაგიდა, ხოლო თეთრი სკამები წყლისგან გაყვითლებულია. ზარალის შესახებ ინფორმაცია ამ ეტაპზე უცნობია.**

**როგორც For.ge-ს პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელმა ზურაბ მარაქველიძემ განუცხადა, უახლოეს მომავალში, ბიუროს დარბაზში სამუშაოები დაიწყება და მას შემდეგ, რაც მშენებლები დარბაზს იხილავენ, ზარალი დაითვლება.**

**„სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და ამ ხარჯებს, ის ფირმა აანაზღაურებს, რომელმაც ეს გაყვანილობა დაამონტაჟა“,** — აცხადებს მარაქველიძე.

ვინაიდან ბიუროს დარბაზში სარემონტო სამუშაოები ამ დრომდე არ დაწყებულა, კანონმდებლებს სხდომების ჩატარება საკომიტეტო მოსმენებისთვის განკუთვნილ მეოთხე დარბაზში მოუწევთ. ასე მოხდა გუშინწინაც. საახალწლო შვებულებიდან დაბრუნებულმა კანონმდებლებმა პირველი სამუშაო დღე უჩვეულოდ დაიწყეს. მეცხრე დარბაზის ნაცვლად, ბიუროს სხდომა 54-კაციან მეოთხე დარბაზში გაიმართა და კანონმდებლები საკუთარ ადგილებს თეთრ ფურცლებზე დაწერილი გვარებით ეძებდნენ. ამ მხრივ კი, განსაკუთრებით ის დეპუტატები გაწვალდნენ, რომლებიც ბიუროს ადგილმონაცვლე წევრად დაესწრნენ. ასეთი იყო მიხეილ მაჭავარიანი, რომელიც სხდომას უმცირესობის ლიდერ დავით ბაქრაძის ნაცვლად დაესწრო.

**„სად ზის ბაქრაძე?“,** — ამ კითხვით ეძებდა მაჭავარიანი ექს-სპიკერის ადგილს და მას შემდეგ, რაც ადგილს მიაგნო, შვებით ამოისუნთქა.

უნდა ითქვას, რომ შექმნილი ვითარებით კანონმდებლები უკმაყოფილონი ჩანდნენ, მაგრამ, ალბათ, მათ დისკომფორტი კიდევ რამდენჯერმე შეექმნებათ, რადგან ბიუროს დარბაზში არსებული ჭერის შუა ნაწილი მეტად დაზიანებული და გამოსაცვლელია. რაც შეეხება ინვენტარს, მარაქველიძეს არ დაუკონკრეტებია, მაგიდა და რამდენიმე სავარძელი გამოცვლება თუ არა, მაგრამ, ალბათ, კომპანიას ამ ნივთების კომპენსირებაც მოუწევს.



სახანძრო მილის დაზიანებასა და მსგავსი ინციდენტის წარმოქმნაში საოცარი არაფერია და შესაძლოა, მსგავსი რამ ნებისმიერ შენობასა თუ სახლში მოხდეს, მაგრამ საგანგაშო ის ფაქტია, რომ გამჭირვალე შენობა, რომელიც სახელმწიფოს ამ ეტაპზე 360 მლნ ლარი დაუჯდა, უხარისხოდ არის აშენებული. თუ ახლა სახანძრო მილების შეკეთება და, პრევენციის მიზნით, შემოწმება გახდა საჭირო, ცოტა ხნის წინათ მთასვლელები შენობაში წვიმის ჩასვლას ებრძოდნენ. მზიან ამინდებში, მთელ დღეებს გამჭვირვალე შენობის სახურავზე ატარებდნენ და ე.წ. სილიკონის წებოთი შუშის კონსტრუქციას ამუშავებდნენ, ხოლო წვიმიან ამინდში, შენობაში ჩადიოდნენ და იმ ადგილებს ნიშნავდნენ, სადაც მათი მცდელობა უშედეგო იყო. მართალია, მთასვლელთა შრომამ ნაყოფი გამოიღო და უწყებაში ისე აღარ წვიმს, როგორც უწინ, მაგრამ ყოველდღე თავს ახალ-ახალი პრობლემები იჩენს.

ამას გარდა გასაკვირი ის არის, მშენებლობის ხარისხთან დაკავშირებით რატომ არ სთხოვენ პასუხს — „ნაციონალურ მოძრაობას“, ძალას, რომელმაც ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ ფონზე, 360 მლნ ლარი გამჭირვალე შენობისთვის გაიმეტა. ეს ერთი პრობლემაა, მაგრამ მეორე პრობლემა ის არის, რომ პარლამენტში დამკვიდრებული მანკიერი ტრადიცია ისევ გრძელდება. თვალწინ ხანძარი რომ გაჩნდეს და მანდატურის სამსახურის რომელიმე წევრს ჰკითხოთ — ცეცხლია თუ წვიმა, უმალვე გიპასუხებენ, რომ თოვს. ასე მოხდა გუშინაც. ერთ-ერთ მანდატურს შეგნებულად ვკითხე, რატომ იმართებოდა ბიუროს სხდომა მეცხრე დარბაზის ნაცვლად მეოთხე დარბაზში-მეთქი პასუხი კი, ფაქტების დამალვის მიზნით, როგორც უწინ, ასევე ახლაც იყო — „არ ვიცი, ალბათ, დეპუტატებს ასე სურთ“. მეორე კითხვაზე „თუ რატომ იყო ბიუროს ოთახის ტრანსლირებისთვის განკუთვნილი ხუთი მონიტორი ჩაბნელებული“, პასუხიც იდენტური იყო — „ეტყობა, შუქი არ არის“.

ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ელექტროენერგია იყო, მაგრამ მონიტორები შეგნებულად იყო ჩაბნელებული, რომ ბიუროს ოთახში არსებული დაზიანებული ნივთები არ გამოჩენილიყო.

**თეონა მანაგაძე**

ⓞ კრედიტების სიძვირე

# ეროვნული ბანკი შეგნებულად არაფერს აკეთებს კომერციულების მოსათოკად

**საქართველოში კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდის ტენდენცია იკვეთება: ბოლო ერთი წლის განმავლობაში 0,3%-დან 3,6%-მდე გაიზარდა. ზრდა ძირითადად შესამჩნევია უცხოურ ვალუტაში გაცემულ კრედიტებზე, ეროვნულ ვალუტაში ზრდის მაჩვენებელი უმნიშვნელო იყო.**

ექსპერტ ლია ელიავას განმარტებით, **საშუალო პროცენტული მაჩვენებელი კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხებით დაითვლება, როგორც ჩანს, გაცემული სესხების რაოდენობამ იმატა, რამაც ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას საშუალება მისცა, გაეკეთებინა არაპროფესიონალური განცხადება საპროცენტო განაკვეთების კლების თაობაზე. სინამდვილეში საპროცენტო განაკვეთმა იკლო არა რეალურად, არამედ მათემატიკურად. სესხების საპროცენტო განაკვეთების ზრდა შესამჩნევია ჰიპოტეკური სესხების ნაწილშიც.**

ექსპერტთა განმარტებით, **კრედიტების სიძვირეს მრავალი ფაქტორი განაპირობებს — ქვეყნის სუსტი ეკონომიკური მდგომარეობა, მისი არაკონკურენტულობა, ბიზნესისა და შიდა მეურნეობის დაბალი შემოსავლიანობა და საბანკო სისტემის სუსტი საკანონმდებლო ბაზა, რისი წყალობითაც ბანკები მაღალ საპროცენტო განაკვეთს აწესებენ. სპეციალისტები გაოცებით აღნიშნავენ, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოში რისკ-ფაქტორები არ შეცვლილა. ამდენად, მათთვის გაუგებარია კრედიტების გაძვირების მიზეზი, ეკონომისტთა ერთი ნაწილი პროცენტების ზრდას არჩევნებს უკავშირებს — ბანკებს ხომ წინასაარჩევნოდ ფული გადაახდევინეს. გაცემულს ამოღება უნდაო.** — ასკვნიან ისინი.



**ბანკებმა გარკვეულწილად ანაბრებზეც გაზარდეს დივიდენდები, მაგრამ უმნიშვნელოდ (9-10%), მაშინ, როდესაც სესხებიდან სარგებელმა 22-24%-ს მიაღწია. გამოდის, რომ კომერციული ბანკები 12-14% მოგებაზე მუშაობენ. აქ ექსპერტები აღნიშნავენ ერთ საინტერესო გარემოებას — კომერციულ ბანკებში ვერავინ გეტყვით, თუ რატომ ითხოვენ სესხზე 22-24%-ს და არა 12%-ს. რადგანაც ჩვენი ბანკები სესხების გაანგარიშების კალკულაციას არ ახდენენ, მათგან ამას არც ეროვნული ბანკი მოითხოვს. ამრიგად ჩვენთან როგორ ყალიბდება სესხის ღირებულება, არავინ იცის.**

**ჩვენი ქვეყანა კრედიტების სიძვირის მიხედვით ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა პოსტსაბჭოთა სივრცეში (რუსეთში 11-13%; უკრაინაში 17-20%; აზერბაიჯანში 11-13%; სომხეთში 17-20 % და ა.შ.); სპეციალისტთა განმარტებით, მაღალი საპროცენტო და სხვაობა მინიმალურსა და მაქსიმალურს შორის განპირობებულია ქვეყანაში არსებული პრობლემური მმართველობით. ბანკები ბაძავენ ხელისუფლებას, რომელიც ახალ-ახალი მოგონილი თუ გაზრდილი გადასახადებით სულს ხდის მოსახლეობას. საქართველოში საკრედიტო პროცენტები მანამ არ მოწესრიგდება, ვიდრე კრედიტების ღირებულება საბაზრო პირობებით, მოთხოვნა-მიწოდებითა და კონკურენციით არ დარეგულირდება.**

ექსპერტ ლია ელიავას მოსაზრებით, **დღეს საბანკო სისტემაში კონკურენცია არ არსებობს. ბაზრის 80 პროცენტი ორ ბანკს აქვს განაწილებული. ისინი კარნახობენ ფასს დანარჩენებს. კონკურენციის გაწევის შემთხვევაში სხვა ბანკებს უბრალოდ მოაშთობენ საბანკო ბაზრიდან, როგორც ეს დამართეს HSBC-ს, ამბობს ექსპერტი და იქვე დასძენს** — ეროვნული ბანკი კომერციულების გაზრდილი მადის მოსათოკად არაფერს არ აკეთებს, თუმცა ამის საკანონმდებლო ბერკეტები აქვს.

**პოლიტიკოსთა და ექსპერტთა დიდ ნაწილს „ეროვნულის“ უმოქმედობა მიაჩნია „ნაციონალების“ პოლიტიკის გაგრძელებად. კომერციულები მიშვებულნი არიან, მაგრამ როგორც კი სააკაშვილსა და მის გუნდს სხვადასხვა ღონისძიებებისთვის ფული დასჭირდებათ, კომერციულებთან პრობლემები არ აქვთ.**

**ზაზა ბილიხოძე**

ⓞ ინფორმაცია

### ყველა უკანონო პატიმარს აქვს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება

**ყველა** უკანონო პატიმარს, მათ შორის პოლიტპატიმრებს, აქვს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება, - ამის შესახებ ჟურნალისტებს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განუცხადა. როგორც მინისტრმა აღნიშნა, ამ უფლებას მათ ვერავინ წაართმევს.

— უბრალოდ მეორე მხარეს არის ბიუჯეტის შესაძლებლობები და ამ ორი ინტერესის აწონ-დაწონვის შედეგად, უნდა მოიძებნოს რაიმე გამოსავალი“, — აღნიშნა წულუკიანმა.

### ვლადიმერ ბედუკაძეზე საერთაშორისო ძებნა შეწყვეტილია

**იუსტიციის** მინისტრი თეა წულუკიანი ვლადიმერ ბედუკაძეზე საერთაშორისო ძებნის შეწყვეტას გამოეხმაურა. როგორც ჟურნალისტებს წულუკიანმა განუცხადა, ბედუკაძეზე ძებნის შეწყვეტასთან დაკავშირებით არსებობს მოლოდინი, რომ ეს მას სამართალდამცავ ორგანოებთან, მათ შორის პროკურატურასთან თანამშრომლობას გაუადვილებს. რაც შეეხება იმას, დაბრუნდება თუ არა ბედუკაძე საქართველოში, მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს ბედუკაძეზეა დამოკიდებული.

პატიმრების წამების ამსახველი ვიდეოკადრების ავტორ ვლადიმერ ბედუკაძის მიმართ საერთაშორისო ძებნა შეწყვეტილია. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ვლადიმერ ბედუკაძის მიმართ საერთაშორისო ძებნის შეწყვეტა მოითხოვა. აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი ვლადიმერ ბედუკაძის მხრიდან გამოძიებასთან თანაშრომლობაა. ამასთან, მთავარი პროკურატურა იმედოვნებს, რომ ბედუკაძე საქართველოში დაბრუნდება და გამოძიებასთან თანამშრომლობას გააგრძელებს.

### შოთა ხიზანიშვილს ბრალი უმძიმდება

**შინაგან** საქმეთა მინისტრისა და თბილისის მერის ყოფილ მოადგილეს, პატიმრობაში მყოფ შოთა ხიზანიშვილს ბრალი უმძიმდება. როგორც მისმა ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, პროკურატურა ხიზანიშვილს ბრალს კიდევ ორი მუხლით წაუყენებს — ცრუ დასმენა და პოლიტიკური პარტიის საქმიანობისთვის ხელის შეშლა.

შოთა ხიზანიშვილს დღემდე ორი მუხლით ჰქონდა ბრალი წაყენებული - 158-ე (ფარული მოსმენები) და 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება).

ამასთან, როგორც მამუკა ჭაბაშვილმა განაცხადა, ერთ მუხლთან მიმართებაში ხიზანიშვილს ამნისტია შეეხო. აქედან გამომდინარე, ჭაბაშვილი გეგმავს, სასამართლოს ხიზანიშვილისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობით მიმართოს. შინაგან საქმეთა მინისტრისა და თბილისის მერის ყოფილი მოადგილე შოთა ხიზანიშვილი 2012 წლის 15 ნოემბერს დააკავეს.

### მთავარმა პროკურატურამ მეგის ქარდავას ბრალი წაუყენა

**მთავარმა** პროკურატურამ მეგის ქარდავასა და სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის სხვა ყოფილ მაღალჩინოსნებს სერგო თეთრაძის გარდაცვალების საქმეზე ბრალი წაუყენა.

სამხედრო პოლიციისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და ბოროტად გამოყენების, ასევე სხვადასხვა სახის ძალადობების ფაქტთან დაკავშირებით, მთავარმა პროკურატურამ თბილისის საქალაქო სასამართლოს მეგის ქარდავასა და სხვა ბრალდებულებისთვის აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით მიმართა.

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# კურსი დასავლეთისკენ

**„ჩვენ არ ვაპირებთ სხვა ალიანსებისკენ სწრაფვას, გარდა ევროკავშირისა და ნატოსი“, — აღიარა პრესკონფერენციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ, რომელიც ერთდღიანი ვიზიტით ლატვიაში იმყოფებოდა. „ჩვენ უნდა მივსდიოთ ქართველი ხალხის ნებას, რომელიც მხარს უჭერს ინტეგრაციას ევროკავშირსა და ნატოში“, — დაუმატა მინიტრმა.**




შემოდგომით გამართულ პარლამენტის არჩევნებზე გაიმარჯვა ოპოზიციური პარტიების გაერთიანებამ „ქართული ოცნება“, რომლის ლიდერსაც მილიარდერ ბიძინა ივანიშვილს ანალიტიკოსები უკავშირებდნენ რუსეთის ინტერესების გაძლიერებას ქართული საზოგადოებისადმი. მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავარი საგარეოპოლიტიკური კურსი დასავლეთისკენ არის მიმართული. მაგრამ გაძლიერდება, აგრეთვე, ყურადღება რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე. დასავლეთის ქვეყნების მხრიდან გაისმა კრიტიკა საქართველოში კანონიერებასთან, მაგალითად, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თანამებრძოლების დევნასთან დაკავშირებით. შეკითხვაზე საზღვარგარეთის კრიტიკის შესახებ კანონიერების საკითხებთან დაკავშირებით მინისტრმა უპასუხა: „ჩვენ ვიცით, რომ დასავლეთის ზოგიერთი ქვეყანა შეშფოთებულია საქართველოს საშინაო საქმეებით. მოითმინეთ, სანამ პროცესი არ დამთავრებულა. საქმეები უნდა გაირჩეს“.

### საქართველოში ნაკლებად ეშინიათ რუსეთისა

**ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედგარს რინკევიჩსმა აღიარა, რომ ფანჯიკიძესთან მოლაპარაკების დროს განიხილავდნენ, აგრეთვე, საქართველოში შინაპოლიტიკურ სიტუაციასაც, მაგალითად, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს ამნისტიის შესახებ, რაც საქართველოს საშინაო საქმეა.** რინკევიჩსის სიტყვებით, საქართველომ უნდა გამოიკვლიოს ეჭვები თანამდებობის პირთა შესაძლო დანაშაულობათა შესახებ, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს შერჩევითი წესით, თანაბარი მიდგომა უნდა იყოს როგორც მოქმედი, ისე ყოფილ თანამდებობის პირებთან დაკავშირებითაც. **„შერჩევით პროცესებს უნდა ვერიდოთ. ეს არ შედის საქართველოს ინტერესებში, თუ გაჩნდება ეჭვი იმის შესახებ, რომ არის საქმეები, რომლებიც, შესაძლებელია, არ არის პრინციპის დონეზე — „ერთი კანონი, ერთი სამართლიანობა ყველასთვის“. საქართველოს საკმაოდ ბევრი მტერი ჰყავს, რომლებიც ყველაფერს გააკეთებენ, რათა გააფუჭონ ევროკავშირთან და ნატოსთან დაახლოების შესაძლებლობა“,** — დაუმატა ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა და გამოთქვა იმედი, რომ ლატვიისა და სხვა მოკავშირეების მიერ გაგზავნილი სიგნალები მოსმენილი იქნება. პრესკონფერენციაზე, ასევე, დაისვა საკითხი ეგრეთ წოდებულ „გაყინულ კონფლიქტებთან დაკავშირებით“ სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთსა და მთიან ყარაბაღში. ფანჯიკიძემ ხაზგასმით აღნიშნა: ნებისმიერი კონფლიქტის გადაწყვეტისთვის საჭიროა დრო და მას სჯერა, რომ ნებისმიერი კონფლიქტისთვის შეიძლება მოიძებნოს სათანადო გასაღები.

**„ლატვიას ავიზე“**
**ლატვია**

## დედამიწის ზურგზე

### ესპანეთის ზოოპარკში შიმპანზე მიუჯდა ფილმს მოზრდილებისთვის



**ზოოპარკის თანამშრომლებმა მაიმუნს აჩუქეს ტელევიზორი, რომ მას შეძლებოდა გაემრავალფეროვნებინა თავისი ყოველდღიური ცხოვრება ეკრანზე ნანახით. მაგრამ როგორი იყო მათი გაოცება, როდესაც მაიმუნმა მართვის პულტის ათვისების შემდეგ თავისი არჩევანი გააკეთა არხზე, რომელიც პორნოს დემონსტრაციას ახდენდა.**

### ერაყში თვითმკვლელმა მოკლა 10 კაცი, დაახლოებით 100 კაცი დაჭრილია



**უცნობმა პირმა ააფეთქა დანაღმული ავტომობილი ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინის მახლობლად ქალაქ კირკუკში ქვეყნის ჩრდილოეთით. ნოემბერში რაიონებში, რომლებიც ქალაქს ესაზღვრებიან, შეიყვანეს დამატებითი ჯარები, რამაც რეგიონში დაძაბულობის ზრდა გამოიწვია.**

### გერმანიაში სტარტი აიღო პროცესმა „რუს ჯაშუშებზე“ –„მისტერ ტერორზე“ და „ალპურ ძროხაზე“




**ცოლ-ქმარმა ანშლაგებმა — გამოძიების ვერსიით, ესენი არიან საშა და ოლღა როსტები, იგივე პიტი და თინა — სასამართლოზე გამოიყენეს დუმილის უფლება. მათ არ უპასუხეს მოსამართლის შეკითხვაზეც კი იმის შესახებ, თუ როგორ მიმართონ მათ პროცესის მსვლელობის დროს. სასამართლო გვპირდება, რომ იქნება ხანგრძლივი და რთული.**

### „ოცნების ლაინერთან“ დაკავშირებული მეშვიდე ინციდენტი ერთ კვირაში: შეწყდა ყველაზე დიდი ფლოტის „ბოინგ-787“-ის ფრენები

**ოთხშაბათს იაპონური კომპანიის „ანას“ თვითმფრინავმა მოახდინა ექსტრემალური დაჯდომა მას შემდეგ, რაც გადამცემმა მფრინავების კაბინაში მიუთითა აკუმულატორთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ჯიხურის შიგნით გაჩნდა კვამლი. იაპონიას ეკუთვნის მსოფლიოში გამოშვებული 50 ასეთი ტიპის თვითმფრინავის ნახევარი. კერძოდ, ამ თვითმფრინავებით დაფრინავდნენ ტოკიოსა და მოსკოვს შორის.**



# საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ინტელიგენციით დაინტერესდა

## საქართველოს სპეცსამსახურები თავიანთ რიგებში იბირებდნენ მომხრეებს პრეზიდენტისთვის

**საქართველოში ახალი პოლიტიკური სკანდალი აგორდა. მთავარმა პროკურატურამ გამოაქვეყნა ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა ჰომოსექსუალური კავშირების ვიდეოსურათები. პროკურატურის მტკიცებით, ამ კომპრომატის დახმარებით ქვეყნის ძველი ხელისუფლება იბირებდა „ცნობილ პერსონებს“ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერად.**

„პრეზიდენტ სააკაშვილის საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოჩვენებითი უზრუნველყოფის დანაშაულებრივი სქემის“ გახსნის შესახებ სპეციალურ ბრიფინგზე გამოაცხადა საქართველოს მთავარი პროკურატურის პრესმდივანმა ხათუნა პაიჭაძემ. „გამოძიებამ დაადგინა, რომ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის მეგის ქარდავას ბრძანებით, თანამდებობის პირთა ჯგუფმა გამოავლინა მამაკაცები — სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლები — და ფარული კამერით იღებდა მათს ჰომოსექსუალურ აქტებს“, — განაცხადა ქალბატონმა პაიჭაძემ. ამ ვიდეომასალებს შემდგომ იყენებდნენ, რათა ფიგურანტები გადმოებირებინათ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობისთვის მაკომპრომეტირებელი მასალების გამოქვეყნების დაშინებით. „გადაბირებულები ამყარებდნენ სექსუალურ კავშირს ცნობილ ადამიანებთან, რის შემდეგაც ქარდავა და მისი თანამზრახველები შანტაჟით აიძულებდნენ ამ უკანასკნელებს აქტიურად დაეჭირათ მხარი ქვეყნის ყოფილი ხელისუფლების აქციებისთვის“, — გვითხრა პროკურატურის წარმომადგენელმა.



არც ერთი სახელი მას არ დაუსახელებია, თუმცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს გადასცა რამდენიმე ასეულიდან სამი ვიდეოჩანაწერი, რომლებიც გამოძიების განკარგულებაში აღმოჩნდნენ. ვიდეოზე სახეები ტუშით არის დაფარული, მაგრამ ხმები, რაც კადრში გაისმის, საშუალებას აძლევდა ჟურნალისტებს ევარაუდათ მათი პატრონების — ცნობილი მომღერლების, შოუმენებისა და ექსპერტების შესახებ, რომლებიც პარლამენტის არჩევნების პერიოდში გამოირჩეოდნენ როგორც პრეზიდენტ სააკაშვილის აქტუალური მომხრეები.

„სისხლის სამართლის საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მესამე ნაწილით — „თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რასაც თან ახლავს შეურაცხყოფა და ძალადობა მოქალაქეებთან დაკავშირებით“, — გვაცნობა წყარომ მთავარ პროკურატურაში. ამისთვის მეგის ქარდავას ემუქრება თავისუფლების აღკვეთა ათ წლამდე. პროკურატურამ უკვე დააკავა სამი მისი ხელქვეითი სამხედრო პოლიციიდან, მაგრამ თბილისის სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა სასამართლომდე მათი დაპატიმრების შესახებ, გაათავისუფლა ისინი გირაოთი 20 ათასი ლარის ოდენობით.

თავად მეგის ქარდავამ დატოვა ქვეყანა ოპოზიციური კოალიციის „ქართული ოცნების“ ოქტომბრის არჩევნებზე გამარჯვებისთანავე. „მან იწინასწარმეტყველა, რომ ახალ ხელისუფლებას მისდამი ექნებოდა პრეტენზია — თუ არა ამ საქმესთან, სხვა მრავალ საქმესთან დაკავშირებით მისი მონაწილეობით“, — განუმარტა ჩვენს გაზეთს ერთ-ერთი სააგენტოს ექსპერტმა ნიკა იმნაიშვილმა. კერძოდ, მიიჩნევენ, რომ 2007 წელს, როდესაც ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა სამინისტროში მსახურობდა, სწორედ მან აიძულა თავდაცვის ექსმინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი მთლიანად ეღიარებინა თავისი დანაშაული. ჩვენი გაზეთის მონაცემებით, ქარდავა დაემუქრა მას კამერაში ჩასმით, სადაც ისხდნენ თანამდებობის პირები და ბიზნესმენები, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ ოქრუაშვილის ბრძანებით მისი გენერალურ პროკურორად ყოფნის დროს.

საინტერესოა, რომ მეგის ქარდავა არის შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ლევან ქარდავას ძმა, რომელიც დაპატიმრებულია მსგავსი დანაშაულის ბრალდებით. პარლამენტის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე მან შანტაჟის დახმარებით აიძულა ამჟამინდელი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის მცველი ბესარიონ სურმავა მონაწილეობა მიეღო პატრონისა და მისი გუნდის წევრების დისკრედიტაციის აქციებში.

**Коммерсантъ**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გამოიცა

# სიახლე ქართულ სამხედრო მეცნიერებაში




**ახლახან ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრაზე მომზადდა და გამომცემლობა „უნივერსალის“ მიერ დაისტამბა სახელმძღვანელო „საქართველოს სამხედრო გეოგრაფია“. მისი გამოცემა განხორციელდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის: საქართველოს ლანდშაფტების კადასტრი და სამხედრო-გეოგრაფიული შეფასება — ფარგლებში.**

საქართველოს სამხედრო გეოგრაფიის ავტორებია ზემოაღნიშნულ პროექტში მონაწილე მეცნიერები და სამხედრო საქმის სპეციალისტები: პროფ. **ნოდარ ელიზბარაშვილი** (ხელმძღვანელი), ასოცირებული პროფესორი **გიორგი მელაძე,** დოცენტი **გამარლი დოხნაძე,** პოლკოვნიკი **გივი ლეფონავა,** პროფესორი **ემილ წერეთელი,** ასოცირებული პროფესორი **ბესო კალანდაძე** და სხვ.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა როგორც ქვეყნის განვითარების, ისე სამხედრო საქმისა მეცნიერების სპეციფიკურ გააზრებას და დამოკიდებულებას მოითხოვს. საქართველო თავისი მდებარეობით განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს. იგი მოიაზრება როგორც „ქვეყანა — კარიბჭე“, რაც გულისხმობს განსაკუთრებულ გეოგრაფიულ მდებარეობას დიდი ქვეყნებისა და რეგიონების, საერთაშორისო ინტერესების შესაყარზე.

სახელმძღვანელოში ქართულ ენაზე პირველადაა განხილული სამხედრო გეოგრაფიის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, მიზნები და ამოცანები, შედგენილობა და სტრუქტურა, ცნობები ქართველთა სამხედრო გამოცდილების ისტორიიდან, გარემო ფაქტორების შესალო გავლენა ადამიანზე, სამხედრო-გეოგრაფიული ფაქტორები და მათი კლასიფიკაცია, საქართველოს სამხედრო-გეოგრაფიული თავისებურებანი და სხვ. აქვე მოცემულია ჩვენი ქვეყნის სამხედრო გეოგრაფიული შეფასება როგორც გარემოს შემადგენელი ელემენტების, ისე ლანდშაფტების მიხედვით. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია საქართველოს 24 ფერადი რუკა, სადაც შეფასებულია ბუნებრივი გარემოს სხვადასხვა მახასიათებლის სამხედრო-გეოგრაფიული მნიშვნელობა.

საქართველოს სამხედრო-გეოგრაფიული კვლევის შედეგების უშუალო მომხმარებელი იქნება შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, სამხედრო აკადემია და სასწავლებლები.

**დავით კერესელიძე,**
**პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.**

მხატვრობა

# ამოუცნობი სამყარო ახალ-ახალი აღმოჩენებით...

**რუსუდან ქევანაშვილის ძაფმხატვრობით (ძაფით შესრულებული ფერწერული ნამუშევრები) უკვე საზღვარგარეთ დაინტერესდნენ. ეს არის ახალი მეთოდი, რისთვისაც საჭიროა მხოლოდ შალის ძაფი და წებო... ფუნჯი — მხატვრის ხელები... საჭიროა კიდევ ფანტაზია და ფერთა გასაოცარ პალიტრას მივიღებთ...**



რუსუდან ქევანაშვილმა იაკობ ნიკოლაძის სასწავლებელი დაამთავრა. ზეთის საღებავებით ხატავდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ასთმით დაავადდა და საღებავები ალერგიას აძლევდა... ამიტომ მხატვრობას ოცი წლით დაემშვიდობა და მხოლოდ გრაფიკულ ნამუშევრებს ასრულებდა. თუმცა, ფერწერა მუდამ ენატრებოდა... ერთ დღესაც ძაფის ფერადი გორგალი დაინახა და იდეაც დაიბადა: ნახატის შესაქმნელად ძაფი და წებო გამოეყენებინა.

ასე შეიქმნა პირველი ნამუშევარი და მას შემდეგ რუსუდანი ძაფებით „ხატავს“. „ასტრები“, „ზებრა“, „გოგონა ნოუთბუქით“, „მუსიკოსი და ჩიტი“... ფერების საოცარი შეხამებით გამოირჩევა. მხატვრის ოსტატობამ უმალ მოხიბლა დამთვალიერებელი. მისი ნამუშევარი ერთ-ერთ გალერეაში იპოვა მოსკოველმა კატია პალმა და შეიძინა... მალე გალერეისტები და პროფესიონალებიც დაინტერესდნენ. ასე მოეწყო მოსკოვის ერთ-ერთ კაფეში რუსუდან ქევანაშვილის გამოფენა, ხოლო მეორე გამოფენას კერძო გალერეა „ატლასმა“ უმასპინძლა, ორივე გამოფენამ დიდი წარმატებით ჩაიარა.

რუსუდან ქევანაშვილის ხელოვნებით დაინტერესდა „ქართული კავშირი რუსეთში“. გამოფენაზე მოწვეულნი იყვნენ: ექსპერტები, ხელოვნებათმცოდნეები. ხელოვნებათმცოდნე ელენე სადიკოვამ მაღალი შეფასება მისცა ამ ნამუშევრებს და ისინი ტრეტიაკოვის გალერეაშიც მიიტანეს, სადაც სათანადო ტექნიკით შეამოწმეს, გაუძლებდა თუ არა ეს ნახატები დროს.

რუსუდან ქევანაშვილის ნახატებზე რეცენზია გამოაქვეყნა მოსკოვში გამომავალმა ჟურნალმა „Art council“-მა. იმის გარდა, რომ რუსებს სურთ მოსკოვში ამ ხელოვნების შემსწავლელი სკოლის გახსნა, ქართველი ფერმწერის ხელოვნებით უკვე ჩინელებიც დაინტერესდნენ. მათ ძალიან მოსწონთ ფერთა საოცარი შეხამება, რომელიც დადებით ენერგიას ასხივებს და ხალისიან განწყობილებას ქმნის.

„ძაფით მხატვრობის ამ მეთოდმა ამოუცნობი სამყარო გადამიშალა, ახალ-ახალი „აღმოჩენებით“... ისიც კი შევძელი, მესამე ფერი მიმეღო სხვადასხვა ტონალობის შესახამებლად“, — ამბობს მხატვარი.

**ცნობისათვის:** რუსუდან ქევანაშვილის პირველი პერსონალური გამოფენა 2007 წელს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა. შემდეგ იყო არტ-აქცია ლიტერატურის მუზეუმში. ტელევიზიებით გადაიცა სიუჟეტები.

მარტში მოსკოვში არტ-რესტორანში „ფიროსმანთან“ (რომელსაც ქართველი მეპატრონე ჰყავს), უმასპინძლებს რუსუდან ქევანაშვილის ნამუშევრებს.

თავად მხატვარი ამბროლაურის სამხატვრო სკოლაში მუშაობს და ასწავლის ხატვაფერწერას, ხელოვნების ისტორიას.

ვფიქრობ, ქართველ მხატვარს — რუსუდან ქევანაშვილს სათანადო დაფასება, უწინარესად, საქართველოში სჭირდება. იმედია, რომ მის საოცარ მხატვრობას სწორედ ჩვენთან გამოუჩნდებიან თაყვანისმცემლები და ძაფით მხატვრობის შემსწავლელი სკოლა აქ გაიხსნება, და არა რუსეთში ან ჩინეთში.

დროა, ჩვენი ნიჭიერი ხელოვანების დაფასება დროულად ვისწავლოთ!







**თამარ შაიშმელაშვილი.**

**სურათებზე:** რუსუდან ქევანაშვილი; მისი ნამუშევრები.

ორნი

# მკურნალი კოცნა

**ზოგიერთნი ამტკიცებენ, რომ კოცნით ათასნაირი ინფექცია გადადის, სხვათა აზრით კოცნა იმუნიტეტს ამაღლებს. მაშ, ვინაა მათ შორის მართალი? ამ საკითხმა მკვლევარები იმდენად დააინტერესა, რომ კოცნის ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებათა გასარკვევად ცალკე სამეცნიერო დისციპლინაც კი შექმნეს, რომელსაც ფილემატოლოგია უწოდეს და რომელიც ამერიკის მეცნიერების პროგრესის ასოციაციის 2009 წლის კონგრესზე ოფიციალურად აღიარეს. ახალ მეცნიერებას საფუძვლად ბიოლოგებისა და სექსოლოგების მიერ ჩატარებული გამოკვლევები დაედო.**

მთავარი, რისი დამტკიცება მკვლევარებმა შეძლეს, ისაა, რომ **კოცნა ადამიანის ჰორმონალურ სტატუსს ცვლის — სისხლში სტრესის გამომწვევი ჰორმონის კორტიზონის შემცველობა იკლებს, ხოლო ნდობისა და უსაფრთხოების გამომწვევი ჰორმონის ოქსიტოცინის კონცენტრაცია კი მატულობს. სწორედ ეს გახდა იმის საფუძველი, რომ ამჟამად კოცნას... წამლად მიიჩნევენ. ბრიტანელი ექიმები კი სულაც ამტკიცებენ, რომ კაცი, რომელიც ბევრს კოცნაობს, საშუალოდ 12 წლით უფრო დიდხანს ცოცხლობს და თავის ასაკთან შედარებით 5 წლის უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება.**

კოცნის გამაახალგაზრდავებელ ეფექტს პარტნიორისადმი უდიდესი ნდობის გრძნობით ხსნიან. ჩახუტებასთან ერთად იგი სასწრაფო ფსიქოლოგიური დახმარების საშუალებაა, რომელიც დაძაბულობას ხსნის, ამშვიდებს, ასევე პარტნიორობისთვის საკუთარი პერსონის მნიშვნელობას უსვამს ხაზს, რითაც პიროვნების თვითშეფასების ამაღლებას უწყობს ხელს. ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო მეუღლის, არამედ ახლობლების, პირველ ყოვლისა, ბავშვების კოცნა. საქმე ისაა, რომ **ბავშვებს, რომლებსაც მშობლები გულში არ იკრავენ და არ კოცნიან, აზრი უჩნდებათ, თითქოს ისინი ამის ღირსნი არ არიან.** ამიტომაცაა, რომ მოზრდილ ასაკში მათ დაბალი თვითშეფასება აქვთ და კომპლექსები უჩნდებათ.



ამასთან, კოცნის პროცესში სახის 34 კუნთია ჩართული, რაც ხელს უწყობს კანის სისხლით მომარაგებას, მას უფრო გლუვს ხდის და ნაოჭებს ასწორებს.

თუმცა კი იმ მოსაზრებას, თითქოს კოცნა აახალგაზრდავებს, მედიკოსები არ იზიარებენ.

**საექიმო თვალთახედვით, კოცნა — ესაა მიკროფლორის გაცვლა: ადამიანის პირში სხვადასხვა ბაქტერიები ბუდობენ, რომლებიც კოცნის დროს ერთი პარტნიორისგან მეორეზე გადადიან.** ხშირად ამბობენ, რომ კოცნა — დამატებითი იმუნიზაციის პროცესია, რადგან სხვისი ბაქტერიები იმუნური სისტემის აქტივიზაციას ახდენენ და ანტისხეულთა გამომუშავებას იწვევენ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს მხოლოდ იმ პირობით, თუ ადამიანი ჯანმრთელია, ხოლო ლორწოვან გარსზე მოხვედრილი ბაქტერიები არაპათოგენურია.

ბოლო დროს ხშირად ამბობენ, რომ კოცნა ასევე მავნეა კუჭ-ნაწლავის სისტემისთვისაც, თუმცა, მედიკოსები აცხადებენ, რომ ამ დროს ინფექციური საფრთხე ძალიან გაზვიადებულია. ამდენად, **კუჭის წყლულის გადადება შესაძლოა მხოლოდ პირადი ჰიგიენის სრული დაუცველობის შემთხვევაში მოხდეს.**

არსებობს აზრი, რომ **ურთულეს ქიმიურ რეაქციათა თაიგული, რომელიც კოცნის დროს მიმდინარეობს, ინფექციური შეჭრის საფრთხეს მინიმუმამდე ამცირებს.** ოღონდ ერთი კია: ეს წესი მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როცა პარტნიორებს შორის „ქიმია“ მაინც არსებობს. შემთხვევით პარტნიორებთან კოცნის დროს კი ეს წესი უკვე აღარ მოქმედებს, ამიტომ მთავარი პრობლემაა, თუ ვის კოცნით...

**ნინო ალექსანდრია**

ინფორმაცია

## ტყუილის მოკლე ფეხს გამოუჩენენ

**რუსეთის ქალაქ ნიჟნი ნოვგოროდის ლინგვისტიკის უნივერსიტეტში შექმნეს და დააპატენტეს „სიცრუის ფონეტიკური დეტექტორი“.**

**ეს არაა ჩვეულებრივი სიცრუის დეტექტორი, ამდენად მოლაპარაკეს არანაირ ხელსაწყოზე მიერთება საჭირო არ არის. ახალი ხელსაწყო მეტყველებს ბგერითი შემადგენლობის შესაბამისად მოლაპარაკე ადამიანის ფსიქოტიპს ადგენს — რამდენად მშვიდია იგი თუ აღელვებული. მიღებული ინფორმაცია მონიტორზე გადის. ხელსაწყო ხმის ისეთ ნიუანსებს არჩევს, რომელთა გაკონტროლება ადამიანს თავადაც არ შეუძლია.**

**ამჟამად მეცნიერები პროგრამის ვერსიას მობილური ტელეფონებისთვის ამუშავებენ. ხშირია შემთხვევები, როცა თაღლითები ხალხს ურეკავენ და ფულის გამოტყუებას ცდილობენ თითქოსდა გაჭირვებაში ჩავარდნილი ახლობლის დასახმარებლად. ასეთი პროგრამა მათ თავის დაცვაში დაეხმარება. გარდა ამისა, მოწყობილობა სპეცსამსახურებსაც დაეხმარება — თანამშრომლები შეძლებენ იმის გარკვევას, მართალს ამბობს ტერორისტი თუ ბლეფობს. მისი გამოყენების კიდევ ერთი პოტენციური სფეროა საბანკო დაკრედიტება. ისე ხდება ხოლმე, რომ კლიენტი მალავს ინფორმაციას საკუთარი თავის შესახებ. როცა დეტექტორი კომპაქტური გახდება და გაყიდვაში გამოვა, მის შეძენას ნებისმიერი მსურველი შეძლებს.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ტაილანდური კრივი

# სეზონის სტარტზე



**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ტაილანდურ კრივში ევროპის ჩემპიონის გიგა ჭიკაძის პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გოგა ასათიანი დაესწრო. გიგა ჭიკაძე 2012 წლის „Slamm“-ის „მსოფლიო ქამარის“ და „Iro“-ს ევროპის ქამარის მფლობელი და ტაილანდური კრივის ყველაზე პოპულარული ტურნირის „Who is the Boss“-ის გამარჯვებულია.**

გიგა ჭიკაძის პერსონალური მწვრთნელი რეჯილიო აარონი (ცნობილი მოკრივე, მსოფლიო ჩემპიონი 72 კგ. წონით კატეგორიაში) 41 წლისაა და სპორტული კარიერა ჯერაც არ დაუსრულებია. მისი თბილისში ჩამოყვანა „აჭარაბეთის“ მხარდაჭერით მოხდა. მომავალ ორთაბრძოლას ჭიკაძე საქართველოში გამართავს.

ამაში მას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო დაეხმარება. სამომავლოდ რეჯილიო აარონი საქართველოში ტაილანდური კრივის განვითარების მიზნით ახალგაზრდა ქართველი სპორტსმენების გადამზადებასა და საერთაშორისო სარბიელზე მონაწილეობაში ხელშეწყობას გვპირდება.

**მანუჩარ გიორგაძე**

ემზადებიან

# „დინამოს“ ტატანაშვილი დაიბრუნა და სპარინგები დაგეგმა



**დიმიტრი ტატანაშვილი, რომელმაც მიმდინარე სეზონი რუსთავის „მეტალურგში“ დაიწყო, კარიერას თბილისის „დინამოში“ გააგრძელებს. ამის შესახებ საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.**

ტატანაშვილი „დინამოში“ 2010-2011 წლებში გამოდიოდა და 15 მატჩში 4 გოლი გაიტანა, ამ სეზონში კი „მეტალურგში“ გამართულ 22 შეხვედრაში მეტოქეთა კარი 7-ჯერ აიღო.

**დიმიტრი ტატანაშვილი:** „დინამო“ ჩემთვის საყვარელი გუნდია, განსაკუთრებული გრძნობები მაკავშირებს. ახლა კიდევ ერთხელ მომიწევს „დინამოს“ მაისურით თამაში და ვეცდები გუნდის წარმატებაში ჩემი წვლილის შეტანას. გუნდში ბევრი რამ შეიცვალა, დღეს „დინამოს“ კიდევ უფრო დიდი ამბიცია აქვს. მიზანი არამარტო ქართულ, არამედ ევროპულ ასპარეზზე წარმატებული გამოსვლაა. მიუხედავად იმისა, რომ წინა სეზონში „დინამოს“ შემადგენლობაში არ ვთამაშობდი, გულშემატკივრებისგან განსაკუთრებულ სითბოს ვგრძნობდი. დიდ პატივს ვცემ მათ და იმედი მაქვს მათთვის მადლობის გადახდას მოედნიდან, „დინამოს“ მაისურით გატანილი გოლებით მოვახერხებ“.

**„დინამო“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე 21 იანვრამდე მოემზადება, შემდეგ კი ორ უცხოურ შეკრებას გაივლის: 21-31 იანვარს და 5-15 თებერვალს გუნდი ანთალიაში დახვეწავს ტაქტიკურ სქემებს.**

**21-31 იანვარს** გუნდი სასტუმრო BLUE WATERS-ში იცხოვრებს და 3 ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. სავარაუდო მეტოქეები იქნებიან:

**23 იანვარი** – „შახტიორი“ (ყარაგანდა), ყაზახეთის ჩემპიონი.

**26 იანვარი** – „ვორსკლა“ (პოლტავა), უკრაინის პრემიერლიგა.

**29 იანვარი** – „ილიჩევეცი“ (მარიუპოლი), უკრაინის პრემიერლიგა.

**1 თებერვალს** „დინამო“ სამშობლოში დაბრუნდება, 5-15 თებერვალს კი კვლავ თურქეთს მიაშურებს და MARDAN PALACE-ში დაბინავდება. მეორე შეკრებაზე 4 სპარინგი იგეგმება. სავარაუდო მეტოქეები იქნებიან:

**7 თებერვალი** – „ამკარი“ (პერმი), რუსეთის პრემიერლიგა.

**9 თებერვალი** – „პოლონია“ (ვარშავა), პოლონეთის ექსტრაკლასა.

**11 თებერვალი** – მეტოქე დასაზუსტებელია.

13 თებერვალი – „ზარია“ (ლუგანსკი), უკრაინის პრემიერლიგა.

**გიორგი შოთაძე**

დაფასება

# კვიკვინია არაოლიმპიელებში საუკეთესოა



**ქართველმა ათლეტებმა 2012 წელს მნიშვნელოვან გამარჯვებებს მიაღწიეს საერთაშორისო სარბიელზე. ძიუდოისტი ლაშა შავდათუაშვილი ლონდონის ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს მოჭიდავეებმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა, დავით მოძმანაშვილმა, რევაზ ლაშხმა, გიორგი გოგშელიძემ, დავით მარსაგიშვილმა და მანუჩარ ცხადაიამ. ევროპის ჩემპიონები გახდნენ მოჭიდავე დავით მარსაგიშვილი, ძიუდოისტი ვარლამ ლიპარტელიანი, ძალოსანი რაულ ცირეკიძე, რომ არაფერი ვთქვათ მეორე–მესამე პრიზიორებსა და ახალგაზრდების მონაგარზე.**

საქართველოს სპორტულ ყულაბას არანაკლები ჯილდოები შემატეს არაოლიმპიური სახეობების წარმომადგენლებმაც. მაგალითად, მკლავჭიდელმა გენადი კვიკვინიამ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატები მოიგო როგორც მარჯვენა მკლავით, ისე ცაციათი, სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველობა არავის დაუთმო გიორგი ბაინდუროვმა, ამავე სახეობაში მეხუთედ ავიდა ევროპული კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე უშანგი კუზანაშვილი, ქართულ ჭიდაობაში



მეოთხედ გახდა საქართველოს ფალავანი ადამ ოქრუაშვილი; მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვეს დავით პატარიძემ (კარატე) და ლევან გილიგაშვილმა (ათლეტიზმი). იყო სხვა წარმატებებიც, ამიტომაც სპორტული რადიო „ჯაკოს“ და მისი ხელმძღვანელის – ჯამლეტ ხუხაშვილის ინიციატივით არაოლიმპიურ სახეობებში ამჯერადაც გამოვლინდა საქართველოს 10 საუკეთესო ათლეტი. სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად პირველი ადგილი გენადი კვიკვინიას (მკლავჭიდი) ერგო. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: 2. გიორგი ბაინდუროვი (სამბო), 3. ადამ ოქრუაშვილი (ქართული ჭიდაობა), 4. ლევან გილიგაშვილი (ათლეტიზმი), 5. ნანა ძაგნიძე (ჭადრაკი, მსოფლიოს კლასიფიკაციით მე-5 ადგილი), 6. გოგა ალთუნაშვილი (დარბაზბურთი, „იბერია-სთარის“ კაპიტანი), 7. უშანგი კუზანაშვილი (სამბო), 8. დავით პატარიძე (კარატე), 9. პაატა ხმალაძე (ბილიარდი), 10. თემურ ქურციკიძე (ნარდი). წლის საუკეთესო სპორტსმენებს დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

**ლექსო ცინცაძე**

კალათბურთი

# სლოვენიამ მზადების ციკლი გაწერა

**სლოვენიის საკალათბურთო ნაკრებმა, რომელიც 2013 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი და ჯგუფში საქართველოს ეროვნული გუნდის ერთ-ერთი მეტოქეა, მომავალი ტურნირისთვის მზადების ციკლში 12 სპარინგ-მატჩი დაგეგმა, საიდანაც ათს შინ ჩაატარებს.**

ბოჟიდარ მალკოვიჩის შეგირდები 19 ივლისს შეიკრიბებიან და პირველ შეხვედრას 26 ივლისს, დომჟალეში, ასევე ჩვენი ჯგუფის ბინადარ პოლონეთთან გამართავენ, დასკვნითი თამაში კი 31 აგვისტოს ლიუბლიანაში საფრანგეთთან უწევთ.

ამ მატჩებს შორის სლოვენიელები ევრობასკეტის არაერთ მონაწილეს მიიღებენ, რომელთაგან თურქეთი, სერბეთი, რუსეთი და იტალია უნდა გამოვარჩიოთ.

რაც შეეხება გასვლით ტურნირს, იგი 10-11 აგვისტოს სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში შედგება და სლოვენიელები ამ სამი მეტოქიდან ორს ეთამაშებიან – სერბეთი, თურქეთი, უკრაინა.

სლოვენიის ეროვნული ნაკრების დირექტორის მატეი ავანზის განცხადებით, გუნდის მოსამზადებელი ციკლის დასაგეგმად დიდი სამუშაო იქნა გაწეული და იგი, ფაქტობრივად, იდეალური გახლავთ. მისივე თქმით, ათი საშინაო მატჩიდან 8 იმ ქალაქებში ჩატარდება, რომლებსაც ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის პატივი ერგოთ. ესენი ცელიე, იესენიცე, კოპერი და ლიუბლიანა არიან. ამას გარდა, საყვარელი გუნდის თამაშის ხილვის ბედნიერება დომჟალეს და ლიტიას მცხოვრებლებსაც ექნებათ.



სანამ სლოვენიელთა სათამაშო განრიგს სრულად გაგაცნობდეთ, შეგახსენებთ, რომ მომავალი ევრობასკეტი 4-22 სექტემბერსაა დაგეგმილი, ზემოაღნიშნულ ჯგუფში კი მასპინძელთა და საქართველოს ნაკრებთა გარდა, მოქმედი ევროპის ჩემპიონი ესპანეთი, ხორვატეთი, პოლონეთი და ჩეხეთიც ითამაშებენ. საქართველოს და სლოვენიის დაპირისპირება ცელიეში 7 სექტემბერს გახლავთ დაგეგმილი.

**სლოვენიის ნაკრების სპარინგ-მატჩები ევრობასკეტამდე**

**26 ივლისი:** სლოვენია – პოლონეთი (დომჟალე),

**28 ივლისი:** სლოვენია – მაკედონია (ლიტია),

**2 აგვისტო:** სლოვენია – ლატვია (ცელიე),

**3 აგვისტო:** სლოვენია – თურქეთი (ცელიე),

**4 აგვისტო:** სლოვენია – სერბეთი (ცელიე),

**10-11 აგვისტო:** ბელგრადის ტურნირი (სერბეთი, სლოვენია, თურქეთი, უკრაინა),

**16 აგვისტო:** სლოვენია – ბოსნია-ჰერცეგოვინა (იესენიცე),

**18 აგვისტო:** სლოვენია – რუსეთი (ლიუბლიანა),

**23 აგვისტო:** სლოვენია – მონტენეგრო (კოპერი),

**24 აგვისტო:** სლოვენია – იტალია (კოპერი),

**31 აგვისტო:** სლოვენია – საფრანგეთი (ლიუბლიანა).

**ვიტალი ჯაფარიძე**

ჩოგბურთი

# პირველი ბარიერი დაძლია

**თურქულ ანტალიაში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა მორიგი საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი), რომელშიც ქართველთაგან მხოლოდ სოფიო ქვაცაბაია მონაწილეობს. მან წინა კვირასაც იასპარეზა მსგავს შეჯიბრებაში, მაგრამ ერთეულთა თანრიგის სტარტზე უკრაინელ მარიანა ზაკარლიუკასთან დამარცხდა, სამაგიეროდ, იმავე მარიანასთან ერთად წყვილთა პაექრობის ფინალს უწია, იქ კი მეწყვილის ტრავმის გამო გადამწყვეტი პაექრობა დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა.**



ამჯერად ერთეულთა ასპარეზობა ქვაცაბაიამ უფრო ყოჩაღად დაიწყო: სტარტზე საკვალიფიკაციო ტურნირის ერთ-ერთ გამარჯვებულს – სერბ დუნია სანკიჩს იოლად მოუგო 6:1, 6:1 და დღეს მე-2 წრეში ჰოლანდიელი მარიტ ბოონსტრას მძლეველ მი იოოს (კორეა) შეხვდება.

**გივი გაგუა**

სუმო

# დაწინაურდა ტოჩინოშინი

**ტოკიოში პროფესიონალ სუმოისტთა წლის პირველი სუპერტურნირი მიმდინარეობს. იანვრის ბაშო შესანიშნავად დაიწყო ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი) – აღმოსავლეთის მე-6 მაეგაშირამ ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო: პირველ დღეს იკიოის სძლია, მერე თანამემამულე თეიმურაზ ჯუღელს (გაგამარუ) აჯობა, მესამე ორთაბრძოლაში კი დასავლეთის მე-7 მაეგაშირა მასუნოიამა დაჯაბნა და სამი გამარჯვებით ლიდერთა შორისაა.**

ნაცუ ბაშო კარგად დაიწყო მე-4 მაეგაშირა თეიმურაზ ჯუღელმაც: სტარტზე არანს მოუგო, მაგრამ მერე ზედიზედ ორი ორთაბრძოლა დათმო: ტოჩინოშინთან და დასავლეთის მე-2 მაეგაშირა კიოკუტენჰოსთან. ქართველ სუმოისტებს კიდევ 12 შეხვედრა აქვთ გასამართავი.




**ლაშა დიდია**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ინფორმაცია

# დედამიწისა და კოსმოსის სტიქია

## ყველაზე არაჩვეულებრივი საამინდო და სხვა ფენომენები

**1922 წლის 13 სექტემბერს დაარეგისტრირეს ჰაერის ყველაზე მაღალი ტემპერატურა – პლუს 58 გრადუსი ცელსიუსით ჩრდილში. სიცხემ გამოსცადა ელ-აზიზიას (ლიბია) მცხოვრებთა სიმტკიცე.**

### ტემპერატურა

● ყინვის ყველა რეკორდი რუსეთთანაა დაკავშირებული: ყველაზე დაბალი ტემპერატურა (მინუს 89 გრადუსი ცელსიუსით) აღინიშნა 1983 წლის 21 ივლისს საბჭოთა ანტარქტიკულ სამეცნიერო სადგურ ვოსტოკში. ყველაზე ცივ დასახლებულ პუნქტად კი ითვლება ოიმიაკონი იაკუტიაში. იქ ტემპერატურა თითქმის მინუს 68 გრადუსამდე ეცემოდა.



● პლანეტაზე ყველაზე თბილი წელი ბუნებაზე თვალყურის დევნების მთელი ისტორიის მანძილზე გახდა 1990 წელი.

● წლიური ტემპერატურის ყველაზე დიდი ვარდნა ასევე ხდება იაკუტიაში „სიცივის პოლუსზე“, ვერხოიანსკში: მინუს 70 გრადუსიდან ზამთარში პლუს 36,7 გრადუსამდე ცელსიუსით ზაფხულში. სადღეღამისო ტემპერატურის ყველაზე მკვეთრი ცვლილება მოხდა 1916 წლის 23-24 იანვარს ამერიკის შტატ მონტანაში – პლუს 7 გრადუსიდან მინუს 49 გრადუსამდე ცელსიუსით.

### ნალექები

● დედამიწაზე ყველაზე წვიმიანი ადგილი არის ჩარაპუნჯი ინდოეთში. აქ წელიწადში 26 ათასი მილიმეტრი ნალექი მოდის – აქ არ არის არცერთი დღე, წვიმა რომ არ მოდიოდეს.

● ატაკამას (ჩილე) უდაბნოში გვალვა 400 წელი გრძელდებოდა – 1971 წლამდე. მაგრამ ამ ვადის შემდეგაც აქ წელიწადში 0 მილიმეტრი წვიმა მოდის, ესე იგი თითქმის არაფერი.

● კუნძულ იავაზე 1916-ისა და 1919 წლებს შორის იყო 322 ქუხილიანი დღე ყოველწლიურად.

● სიდიდით რეკორდული სეტყვის მარცვალი – 1 კილოგრამზე მეტი წონით – მოვიდა ბანგლადეშის ჰოპალგანჯის რაიონში, რამაც 92 კაცის სიცოცხლე შეიწირა.

● დღე-ღამეში თოვლის რეკორდული ოდენობა – 2 მეტრი მოვიდა 1921 წლის 14-15 აპრილს სილვერ-ლეიკში (აშშ).

### ტალღები

● ზღვის ყველაზე დიდი ტალღა იყო 34 მეტრის სიმაღლისა. ის გაზომეს ხომალდიდან 1933 წლის 6-7 თებერვლის ღამით.

● მოქცევის ტალღა მდინარე ხანჩუფეს (აღმოსავლეთი ჩინეთი) შესართავთან ზაფხულობით სიმაღლით 7,5 მეტრს აღწევს.

### ქარი

● ქარის სიჩქარე – 371 კილომეტრი საათში – დააფიქსირეს ვაშინგტონის (აშშ) მთაზე 1934 წლის 12 აპრილს. დაბლობში ქარის სიჩქარე – 333 კილომეტრი საათში – აღინიშნა 1972 წლის 8 მარტს გრენლანდიაში.

● თანამეგობრობის ზღვაში (ანტარქტიკა) ქარის დაბერვა 320 კილომეტრით საათში – ჩვეულებრივი ამბავია.

### სმერჩები

● 1933 წელს ქვიშის ქარიშხლის შემდეგ ლოს-ანჯელესში ქუჩები ოქროს ქვიშით აივსო. თურმე, სმერჩმა ჰაერში აიტაცა ოქროს ქვიშრობი. სპეციალისტების დაანგარიშებით, ქარმა ქუჩაში გადმოყარა 60 ათასზე მეტი ღირებულების ოქრო.



● წყლის ყველაზე მაღალი სმერჩი დაარეგისტრირეს 1898 წლის 16 მაისს ქალაქ იდენთან (ავსტრალია), მისი სიმაღლე 1528 მეტრს, დიამეტრი კი 3 მეტრს შეადგენდა.

● სმერჩის დროს ქარის ყველაზე მაღალი სიჩქარე – 450 კილომეტრი საათში – დააფიქსირეს 1958 წლის 2 აპრილს ტეხასში (აშშ).

### მიწისძვრები

● ყველაზე დიდი ნგრევა მიწისძვრამ მიაყენა იაპონიას, რაც 1923 წლის 1 სექტემბერს მოხდა (ბიძგის ძალა 8,2 ბალს აღწევდა). შედეგად საგამის ყურეში ზღვის ფსკერი დაეშვა დაბლა 400 მეტრზე! ოფიციალური მონაცემებით, დაღუპულთა რიცხვმა 140 ათას კაცს გადააჭარბა.

### ვულკანები

● ყველაზე ძლიერი იყო ამოფრქვევა ვულკან კრაკატაუსზე, რომელიც სუმატრისა და იავას კუნძულებს შორის სრუტეშია. ამოფრქვევა 1883 წლის 27 აგვისტოს დილით მოხდა. კრატერიდან ამოსროლილი ქვები 55 კილომეტრის სიმაღლემდე ადიოდა. ამოფრქვევის ძალა ყველაზე ძლიერი წყალბადის ბომბის აფეთქების ძალას 26-ჯერ აჭარბებდა.

● მოქმედი ვულკანი ყველაზე მეტი ინდონეზიაშია: არსებული 200-დან, შედარებით ამ ცოტა ხნის წინათ, ამოიფრქვა 77.

● ყველაზე სწრაფი იყო ვულკანი ტაუპო (ახალი ზელანდია), ლავის ამოფრქვევის სიჩქარე საათში 700 კილომეტრს აღწევდა.

● მოქმედი ვულკანებიდან ყველაზე დიდია – მაუნა-ლოსი ჰავაის კუნძულებზე. მისი კრატერის ფართობი 10 კვადრატული კილომეტრია. უკანასკნელი ამოფრქვევა 1984 წელს მოხდა.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

### სხვათა შორის

**მთვარეზე დააფიქსირეს მთვარისძვრა.**

**მთვარისძვრის ყველაზე მეტი ოდენობა (დაახლოებით 3000 წელიწადში) ხდება დეკარტეს კრატერის მიდამოებში.**

ეპიტაფია

# ლევან (რეზო) მირცხულავა



ქართულმა თეატრმა და უმაღლესმა სახელოვნებო განათლებამ დაკარგა ღვაწლმოსილი რეჟისორი და პედაგოგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი **ლევან მირცხულავა**.

ლევან მირცხულავა დაიბადა თბილისში 1934 წელს. 1956 წელს დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. მისი ხელმძღვანელი იყო გამოჩენილი რეჟისორი ვასო ყუშიტაშვილი.

ლ. მირცხულავამ შემოქმედების, პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობის დიდი გზა განვლო. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე სამუშაოდ წავიდა სოხუმის ქართულ თეატრში, სადაც რვა წელი იმოღვაწევა როგორც დამდგმელმა და მთავარმა რეჟისორმა.

1965 წელს მუშაობა დაიწყო კ. მარჯანიშვილის თეატრში ჯერ რეჟისორად, შემდეგ მის მხატვრულ ხელმძღვანელად, სადაც გამოავლინა დიდი შემოქმედებითი ნიჭი და მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, რათა თეატრი გამოეყვანა კრიზისული მდგომარეობიდან, როდესაც თეატრს გამოეყო საუკეთესო მსახიობთა დიდი ჯგუფი.

ლ. მირცხულავას ხალასმა რეჟისორულმა ნიჭმა და ოსტატობამ გამოავლინა თეატრის ახალი შემოქმედებითი პოტენციალი და დადგა საუკეთესო საეტაპო მნიშვნელობის სპექტაკლები: ა. გეწაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“, კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ და მ. ელიოზიშვილის „ბერიკონი“.

ლ. მირცხულავამ თავისი წვლილი შეიტანა რუსთაველის თეატრშიც. დადგა ს. კლდიაშვილის „ქარიშხალში“, მ. ბულგაკოვის „ფარისეველთა შეთქმულება“, ა. ტოლსტოის „ივანე მრისხანის სიკვდილი“ და სხვა.

ლ. მირცხულავა მოუსვენარი, მუდამ ახლის მაძიებელი, მხატვრული გემოვნებისა და მდიდარი ფანტაზიის რეჟისორი იყო. სოხუმის, მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრების გარდა, ნაყოფიერად მოღვაწეობდა გრიბოედოვის და რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრებში, სადაც წარმატებით დადგა არაერთი სპექტაკლი. მათ შორის: ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, ვ. მაიაკოვსკის „აბანო“, ა. ჩეხოვის „ხელის თხოვნა“, „დათვი“ და სხვა.

ლევან მირცხულავას განსაკუთრებით დიდი დამსახურება ჰქონდა აჭარის კულტურულ ცხოვრებაში. ბათუმის თეატრის რთულ ეტაპზე მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თეატრის განახლებაში. წარმატებით დადგა გრ. რობაქიძის „ლამარა“ და ჟ. ანუის „ტოროლა“, რისთვისაც მ. აბაშიძის სახ. პრემია მიენიჭა.

ლ. მირცხულავა 1994-1998 წლებში იყო ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. იმავდროულად მის სახელთან არის დაკავშირებული ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტის შექმნასთან დაკავშირებული რთული პედაგოგიური და ორგანიზატორული მუშაობა. იგი იყო მისი პირველი რექტორი, ხოლო 1998 წლიდან ინსტიტუტის მსახიობისა და რეჟისურის კათედრის გამგე. ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში უზრუნველყო ხულოს თეატრის განახლებისათვის მსახიობთა და რეჟისორთა კადრების მომზადება.

ლ. მირცხულავა იყო განათლებული, ფართო შემოქმედებითი და საზოგადოებრივი ინტერესების მოღვაწე. მრავალი წლის განმავლობაში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, იყო მსახიობის ოსტატობის კათედრის გამგე, ხელმძღვანელობდა მსახიობის ოსტატობის კურსს, არჩეული იყო უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობაზე

ლ. მირცხულავამ აღზარდა მსახიობთა არაერთი თაობა, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ ქართულ თეატრში.

ლ. მირცხულავა მთავარ რეჟისორად და სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობდა ა. გრიბოედოვის, რუსულ მოზარდ მაყურებელთა და ფოთის თეატრებში. განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ზეიმის – „თბილისობის“ ორგანიზებაში, როგორც ფილარმონიის მთავარ რეჟისორს. იგი ათი წელი ხელმძღვანელობდა „თბილისობის“ სახალხო დღესასწაულს.

ლ. მირცხულავას დადგმული აქვს 60-ზე მეტი სპექტაკლი, გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო შრომა მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის მეთოდოლოგიის საკითხებზე.

ქართული თეატრი,. თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდი გულისტკივილით ეთხოვებიან თავიანთ ღვაწლმოსილ რეჟისორსა და პედაგოგს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მე-20 საუკუნის 60-იანი წლების შემდგომი პერიოდის ქართული თეატრისა და სახელოვნებო განათლების ცხოვრებაში.

**საქართველოს შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ინფორმაცია

## თავს ტრეფიკინგის მსხვერპლად მიიჩნევენ

**რეფერალური ჰოსპიტალის თანამშრომლები თავს ტრეფიკინგის მსხვერპლად მიიჩნევენ. ამის შესახებ თანამშრომლები აცხადებენ, რომლებიც კლინიკის ეზოში საპროტესტო აქციას მართავენ.**

**ისინი სახელფასო დავალიანების გასტუმრებას ითხოვენ და თუ მათი პროტესტი შედეგს არ გამოიღებს, საპროტესტო აქციების გამართვას უკვე ეკონომიკისა და ჯანდაცვის სამინისტროებთან აპირებენ.**

**როგორც „ინტერპრესნიუსთან„ საუბრისას აქციის მონაწილეები კლინიკის ხელმძღვანელ ჯუმბერ ბოლღაშვილს დემაგოგიასა და ტყუილ დაპირებებში ადანაშაულებენ. მათი თქმით, კლინიკაში ჯუმბერ ბოლღაშვილი მოვიდა როგორც ლიკვიდატორი, თუმცა ის ამჟამად კლინიკის ხელმძღვანელია და მის ყოველდღიურ დაპირებებს შედეგები არ მოაქვს.**

**ამასთან, აქციის მონაწილეებს თავად ჯუმბერ ბოლღაშვილი შეხვდა და აღნიშნა, რომ ისეთივე მდგომარეობაშია, როგორც სხვა თანამშრომლები და მასაც აქვს სახელფასო დავალიანება.**

## მოსკოვში კრიმინალური ავტორიტეტი ,,დედ ჰასანი,, მოკლეს

**მოსკოვის ცენტრში „დედ ჰასანის“ სახელით ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტი ასლან უსოიანი მოკლეს, – ამის შესახებ „რია ნოვოსტი“ იუწყება. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თავდასხმა პოვარსკის ქუჩაზე განხორციელდა.**

**„ინტერფაქსი“ კი, ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ სროლა სნაიპერის იარაღიდან ოპტიკური დამიზნებით, მოსკოვის დროით 14:30 საათზე განხორციელდა, როდესაც „დედ ჰასანი“ რესტორან „კარეტნი დვორიდან“ გამოვიდა.**



**დაჭრილი კრიმინალური ავტორიტეტი რეანიმაციაში მოათავსეს, თუმცა მალევე გარდაიცვალა.**

**რუსული მედიის ცნობით, თავდასხმისას შემთხვევითი გამვლელი ქალიც დაიჭრა.**

**1937 წელს საქართველოში დაბადებული უსოიანი რუსეთის ფედერაციაში მოქმედი უმსხვილესი კრიმინალური კლანის ლიდერად ითვლებოდა. სხვადასხვა წყაროების ინფორმაციით, იგი პირველად 19 წლის ასაკში მილიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო გაასამართლეს. მესამე მსჯავრის მოხდისას კი, 1966-1968 წლებში, უსოიანმა „კანონიერი ქურდის“ სტატუსი მიიღო.**

ინტერპრესი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ტრაგიკული შემთხვევა

# სასჯელი მაინც გარდაუვალია



**ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე კიევის შემოგარენში სოფელ კოზინის მახლობლად ტრაგედია დატრიალდა: „ჯიპის“ მარკის ავტომანქანა, რომელსაც რუსეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულე, ცნობილი კომპოზიტორი კონსტანტინე მელაძე მართავდა, ორი შვილის დედას, 30 წლის ანა პიშჩალოს დაეჯახა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა...**

ამჟამად კონსტანტინე მელაძე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე მოწმის სახით გადის, მაგრამ შინაგან საქმეთა ორგანოს წარმომადგენლის განცხადებით, ორ თვეში მას ბრალდებას წაუყენებენ. შემთხვევის ადგილიდან მელაძე არ წასულა, მილიციასაც თავად გამოუძახა. მოგვიანებით ექსპერტიზამ აჩვენა, რომ კომპოზიტორი ფხიზელი იყო.

უბედურება საღამოს დაახლოებით 6 საათზე მოხდა, უკვე შებინდებული იყო, ავარიის ადგილზე გარე განათება არ იყო, ამდენად, ფეხით მოსიარულის შორიდან დანახვა ძნელი იყო, თანაც გადასასვლელი დასახლებული პუნქტის საზღვარს გარეთაა. ვითარებას ტრაგიზმს ის გარემოებაც მატებს, რომ უბედურებამდე 40 დღით ადრე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, ანა პიშჩალოვას მამა გარდაეცვალა.




სისხლის სამართლის ახალი კოდექსის თანახმად მელაძისთვის ბრალდების წაყენება მხოლოდ ყველა აუცილებელი ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ შეიძლება, რასაც, მილიციის წარმომადგენელთა განცხადებით, სულ მცირე, ორი თვე დასჭირდება. ამის შემდეგ საქმე სასამართლოს გადაეცემა.

— ადამიანის გარდაცვალების ფაქტი დადგენილია, ხოლო თუ როგორია ამის მიზეზი — განზრახ მკვლელობა თუ მოუფრთხილებლობა, ამას გამოძიება დაადგენს, — ამბობს კიევის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს სპიკერი ნიკოლაი ჟუკოვი. — ამჟამად ათზე მეტი ექსპერტიზაა დანიშნული და მხოლოდ მათი ჩატარების შემდეგ იქნება შესაძლებელი ლაპარაკი მომხდარის მიზეზთა შესახებ — იყო ეს მძღოლის თუ ფეხით მოსიარულის ბრალი, ანდა საქმე ავტომანქანის ტექნიკურ გაუმართაობას ეხება. გამოძიება უნდა დარწმუნდეს, რომ მძღოლს შეეძლო თავიდან აეცილებინა შეჯახება, ან, პირიქით. ამიტომ ჟურნალისტებმა არ უნდა იღელვონ კონსტანტინე მელაძის მოწმის სტატუსის გამო. მოგვიანებით გამოძიება არგუმენტირებულად შეცვლის მის მოწმის სტატუსს ეჭვმიტანილის სტატუსზე. მაგრამ ის, რომ იგი ნებისმიერ შემთხვევაში მიიღებს სასჯელს, ეჭვგარეშეა, ხოლო თუ როგორი იქნება ეს სასჯელი, ამას მოსამართლე მძღოლის ბრალისდა მიხედვით განსაზღვრავს, — დასძენს ბატონი ჟუკოვი.

კონსტანტინე მელაძე ვერ გამართლდება, რადგან საქმე ადამიანის დაღუპვას ეხება, აცხადებენ სამართალდამცავები. სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომლითაც გამოძიება მიმდინარეობს, 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, მაგრამ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ კომპოზიტორს პირობით სასჯელს მიუსჯიან. მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ანა პიშჩალოს ნათესავებს მელაძესთან პრეტენზია არა აქვთ.

— ეს უბედურება რომ მოხდა, იგი ისეთ შოკში იყო, მანქანიდან უცბად გადმოსვლაც კი ვერ შეძლო, — ამბობს კონსტანტინე მელაძის მეგობარი, მომღერალი ალექსანდრე პონომარიოვი. — მას მანქანის მართვის დიდი გამოცდილება აქვს, მაგრამ ასეთი რამ შეიძლებოდა ნებისმიერს მოსვლოდა.

**თამარ გოგიაშვილი**

ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### დიდი ინდოელობა კახეთში

**ბურების** შემდეგ, ქართულ მიწებს ინდოელებმა დაადგეს თვალი — პენჯაბელმა ფერმერებმა საქართველოში ახალ და იაფფასიან საძოვრებს მიაგნეს.

ამის შესახებ ბრიტანული გამოცემა „გარდიანი“ იუწყება. სტატიის ავტორი იმ „უჩვეულო მიგრაციაზე“ საუბრობს, რომელიც პენჯაბიდან საქართველოში მიმდინარეობს. რა კორუფციული გარიგება შედგა „ნაციონალებსა“ და პენჯაბელ ფერმერებს შორის და აკრძალავს თუ არა „ოცნება“ ქართული მიწების უცხოელებზე გაყიდვას?!

**„ქართული სიტყვა“**

### აკაკი მინაშვილი მაია ფანჯიკიძეს პარლამენტში იბარებს

**პარლამენტში** ფრაქციის ფორმატით საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძეს საპარლამენტო უმცირესობა იბარებს. „ნაციონალური მოძრაობა“ პრემიერ-მინისტრს საგარეო საქმეთა მინისტრის გადაყენების მოთხოვნით მიმართავს. აღნიშნულ განცხადებას დეპუტატი აკაკი მინაშვილი აკეთებს. მისი მტკიცებით, ორი თვის განმავლობაში საზოგადოებამ დაინახა, რომ ფანჯიკიძე არაკვალიფიციური მინისტრია, რომლის საქმიანობაც ეწინააღმდეგება საქართველოს ინტერესებს და ქვეყანა იზოლაციისკენ მიჰყავს.

**„ახალი თაობა“**

### პრეზიდენტის იმპიჩმენტი ვერ მოხდება

**პარლამენტის** ადამიანი უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე და იურიდიული კომიტეტის წევრი ეკა ბესელია ამბობს, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტი ვერ მოხდება. ამასობაში კი ქვეყნის პირველი პირის გადადგომის მოთხოვნას ახლახან გათავისუფლებული პოლიტპატიმრებიც შეუერთდნენ.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში ამბობენ, რომ მოქმედი კონსტიტუციით იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას სჭირდება მაღალი ქვორუმი, ხოლო დასკვნას უზენაესი ან საკონსტიტუციო სასამართლო დებს. ამიტომ სანამ სასამართლო სისტემის რეფორმა არ მოხდება, მსგავსი სახის პროცედურა არანაირ შედეგამდე არ მიგვიყვანს.

**„რეზონანსი“**

### კახა თარგამაძის ორკვირიანი ვოიაჟი საქართველოში

**როგორც** გავარკვიეთ, კახა თარგამაძე გასული წლის დეკემბერში სტუმრობდა თბილისს. შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ოჯახთან ერთად 2012 წლის 13 დეკემბერს ავიაკომპანია „აირზენას“ თვითმფრინავით ჩამოფრინდა თბილისში და 2013 წლის 5 იანვარს ამავე ავიაკომპანიის თვითმფრინავით დაბრუნდა მოსკოვში.

როგორც მისი უახლოესი მეგობარი, შს მინისტრის პირველი მოადგილე ზურაბ ჩხაიძე ამბობს, კახა თარგამაძე დაცვის გარეშე თავისუფლად დადიოდა თბილისში...

— დანამდვილებით ვიცი, რომ იგი საქართველოში საცხოვრებლად დაბრუნებას არ აპირებს და არც რაიმე თანამდებობაზე აქვს პრეტენზია, — აცხადებს ზურაბ ჩხაიძე.

**„ყველა სიახლე“**

კადრი



რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ანეკდოტები

**ქალი** მთელი ცხოვრების მანძილზე ორი რამის გამო ნანობს: „რატომ გავყევი მას ცოლად?“ და „რატომ არ გავყევი მას ცოლად?“

* * *

**მთელი** ოფისი მეგობრულად ვრთავდით ნაძვის ხეს. ვიყენებდით ყველაფერს, რაც ხელთ მოგვხვდებოდა ჩვენსავ ოფისში: სტეპლერებს, მაკრატლებს, ჭიკარტებს, ფლომასტერებს... და უცებ ვიფიქრე, რომ სადღაც, ჩვენგან არცთუ ისე შორს, რომელიღაც სექსშოფის თანამშრომლებიც რთავენ ნაძვის ხეს...



* * *

**ძნელია** ბრძოლა ზედმეტ წონასთან, როდესაც მასთან ერთად ერთ წონითს კატეგორიაში ხარ.

* * *

**სიღარიბის** ზღვართან ერთად მდიდრებისთვის არსებობს სიძუნწის ზღვარიც.

* * *

**კაცი** უქალოდ იგივეა, რაც ძაღლი ურწყილოდ — ცხოვრება შეიძლება, მაგრამ მოსაწყენია!

ქალი კი უკაცოდ იგივეა, რაც რწყილი უძაღლოდ — ცხოვრება შეიძლება, მაგრამ დასაკბენი არავინაა!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com